ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 84
(12 052)

31 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

## ნომერშია:

- ლიის იქით და ლიის აქეთ...
- საუბრები სპორტის ისტორიაზე
- ფიქრები ძიუდოსა და ძიუდოისტებზე
- „დინამომ“ ოლიმპს მოუგო
- საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
- მსოფლიოს ექსჩემპიონი ნაჯახით მოკლეს...
- შუმახერს კუნძული აჩუქეს...
- კროსვორდი

# დიდი ლიდერები მოდიან...

როგორც ჩანს, წყალში ხტომაში ჩვენი ეროვნული ტრადიციები მხოლოდ წარსულის სიამაყედ არ დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ეს ოლიმპიური სპორტის სახეობა მასობრივი არ არის, რის გამო ორი წელიწადია საქართველოს ჩემპიონატიც არ ჩატარებულა, თავგამოდებული ადამიანების წყალობით, ტრადიციები აღორძინების გზაზეა შემდგარი. გვითქვამს და გავიმეორებთ, რომ არა მამა-შვილი **ალექსანდრე** და **ირაკლი ბართაიები,** წყალში ხტომა კარგა ხნის



შოთა კორახაშვილი

ამოშლილი იქნებოდა დღეს ჩვენში კულტივირებული სპორტის სახეობების სიიდან. მამა-შვილის ამაგის შემყურეებმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგეს ვაკის დახურული საცურაო აუზის მეპატრონეებმა და უპირველესად ქალბატონმა **ნუნუ ბენდუქიძემ,** რომელმაც მწვრთნელებს და მათ შეგირდებს არათუ სარბიელი დაუთმო უსასყიდლოდ, ძვირფასი ინვენტარიც გულუხვად შეუძინა, რომლის ანალოგი ამიერკავკასიაში არ მოიძებნება.

არის პირობები, არის მოთხოვნა — გვინდა ოლიმპიელი! ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია აცხადებს, რომ სადღეისოდ შანსი 50X50-ზეა. ეს სულაც არ არის ცუდი. მით უფრო, რომ ნაკრებში უკვე აშკარა ლიდერები გამოიკვეთნენ. ერთი მათგანია ჰოლა ჰანტურია, რომელიც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მე-8 იყო. „ჰოლას ყოველ დილით ინდივიდუალური პროგრამით ვავარჯიშებ. ორიენტირი პეკინის ოლიმპიადაზე გვაქვს აღებული. ჩინელები ბოლო წლებში ყველა შეჯიბრებებში დომინირებენ და წარმოიდგინეთ, რა იქნება 2008 წლისთვის. ბოლო ორ ოლიმპიადაზე ჩინელებმა ოქროს 6 და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიპოვეს — ჩვენები მეტწილად სწორედ იმ შეჯიბრებებში გამოგვყავს, სადაც ჩინელები საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობენ და როცა ორი აზიელი პირველ და მეორე ადგილს იკავებს, იქ ჩვენი წყალმხტომელი მესამეა ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, წლეულს, მინსკში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც შოთა კორახაშვილი ორი ჩინელის შემდეგ მესამე პრიზიორი გახდა“ — გვეუბნება ა. ბართაია.

ასეთ დროს ცხადია თავს იჩენს ცნობისმოყვარეობა და მთავარ მწვრთნელს ყველა იმ შეჯიბრების გახსენება ვთხოვეთ, სადაც ჩვენი წყალმხტომელები წლეულს გამოსულან. სეზონი ზემოხსენებული ტურნირით და შ. კოროხაშვილის მიერ 10 მ. კოშკურიდან ხტომაში მოგებული ბრინჯაოს მედლით დაუწყიათ. შემდეგ მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში, სადაც 18 ქვეყნის უძლიერესი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ჩინელების შემდეგ შ. კორახაშვილი კვლავ მესამე იყო. ამჯერად 1 მ. ტრამპლინიდან ხტომაში. პალმა დე მალიორკაში ევროპის ჩემპიონატზე კი შოთა კონტინენტზე მეხუთე იყო 10 მ. კოშკურიდან ასპარეზობაში. მერე იყო მსოფლიო პირველობა, სადაც შოთა ფინალურ ჯგუფში მოხვდა, X ადგილზე გავიდა და ერთ ჩინელზე წინ იყო.

სამი დღის წინ ერევანში დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი **დავით ამბარცუმიანის** თასზე. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამჯერად მიწვეულთაგან მხოლოდ საქართველო ჩავიდა სასპარეზოდ ერევანში. პროგრამის 8 სახეობიდან ხუთში ქართველებმა იმარჯვეს. შოთა კორახაშვილი ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ერთხელ მეორე იყო. ორი პირველი ადგილი წილად ხვდა აგრეთვე **ჯესიკა მელიქოვას.** ორჯერ მეორე ადგილზე გავიდა **ირაკლი ივანიშვილი,** მეორე და მესამე პრიზიორი გახდა **თათია ლორთქიფანიძე,** ორჯერ მესამე იყო **ბორის მამისაშვილი**. კიდევ ერთი მესამე ადგილი **ალექსანდრე გუჯაბიძის** წილად მოდის. მასვე გადაეცა ყველაზე უმცროსი მონაწილის პრიზი.

# მესამე ადგილი მეორე შემადგენლობით



ძიუდოში ევროპის გუნდურ პირველობაზე ბელგრადში მეორე შემადგენლობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნ. შოთა ხაბარელი) ღირსეულად იჭიდავა და მესამე ადგილი დაიკავა. ქართველმა ფალავნებმა პირველ წრეში 4:3 ბელარუსებს სძლიეს, მეორეში ფრანგებთან 1:5 დამარცხდნენ. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი მათი მეტოქე იყო ებრაელთა ნაკრები, რომელსაც 4:2 მოუგეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ. ამ დაპირისპირებაში ვახტანგ ხოსიტაშვილმა (60 კგ) იპონით წააგო იეკუტილ გალთან, მინდია ხომიზურმა (66) ქულებით მოუგო ზვი შაფრანს, ფრედ დამთავრდა ნესტორ ხერგიანისა (73) და ჯონათან ვოლფის შეხვედრა, გიორგი ბაინდურაშვილმა (81) ქულებით სძლია ავისარ შეინმანს, ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს (90) მეტოქე, საერთოდ არ ჰყავდა და მოგება ჩაეწერა. ახალგაზრდა ლომერ ჟორჟოლიანი (100) წმინდად დამარცხდა ალონ სასონთან. ქართველთა საბოლოო გამარჯვებას წერტილი დაესვა მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილის — ბორის კიბრიკთან სუფთა გამარჯვების შემდეგ.

გუნდური შედეგები. ვაჟები: 1. რუსეთი, 2. საფრანგეთი, 3. საქართველო და ბელარუსი; გოგონები: 1. რუსეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი და სერბეთი.

ომარ ჩხაიძე.

# განცხადება

**პარასკევს, 3 ნოემბერს გაიმართება საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის V ყრილობა**

**დღის წესრიგი**

1. კავშირის საბჭოს ანგარიში 2003-2006 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. კავშირის საკონტროლო — სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
4. არჩევნები.

**ყრილობა დაიწყება 11 საათზე.**

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა



# ყველაფერი პორტუგალიელებთან მატჩში გადაწყდება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე დაასრულა. ბოლო შეხვედრაში „ბორჯღალოსნებმა“ ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლეს. ჩვენს მორაგბეებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს და უნდა ითქვას, რომ მიზნის მიღწევა ძნელი არ იყო — ესპანელები რაგბიში ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტენ და ჯგუფის აუტსაიდერად იყვნენ მონათლულნი. თამაში, ბევრისთვის მოულოდნელად, ესპანელთა აქტიურობით დაიწყო. პირველი ათი წუთის განმავლობაში ესტებან როკემ ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად და ესპანეთის ნაკრები დაწინაურდა — 0:6. ამის შემდეგ მასპინძლები გამოცოცხლდნენ, უფრო ორგანიზებულად ათამაშდნენ და შედეგიც მიიღეს — მე-20 წუთზე ბესო უდესიანმა ლელო გაიტანა, რასაც მალხაზ ურჯუკაშვილის გარდასახვა მოჰყვა და ანგარიშში უკვე „ბორჯღალოსნები“ დაწინაურდნენ — 7:6.

სამ წუთში დავით ურჯუკაშვილმა აუბა მხარი უდესიანს. გარდასახვა ისევ ურჯუკაშვილისა იყო და საქართველოს ნაკრები უკვე 8-ქულიან უპირატესობას

იხ. მე-2 გვ.

# დილარ ხაბულიანი მთაწმინდა – კრწანისის რაიონის გამგებლად დაინიშნა

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **დილარ ხაბულიანი** თბილისის მთაწმინდა — კრწანისის რაიონის გამგებლად დაინიშნა. აღნიშნული თანამდებობა **დავით მესხიშვილს** ეკავა, რომელიც ახლახან თბილისის საკრებულოს წევრი გახდა, შემდეგ კი საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

დილარ ხაბულიანს ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

მედიანიუსი.



**კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

სუპერლიგის III ტურის მატჩებს უკვე ტრადიციულად, თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. სამივე შეხვედრა გაიმართა 28 ოქტომბერს. ტური სტუ — „ავიამშენებლის“ მატჩით გაიხსნა. ამ გუნდების დაპირისპირება

# „აზოტი“ და „ავიამშენი“ დაწინაურდნენ

ყოველთვის საინტერესოა და გამონაკლისი არც ეს თამაში ყოფილა, მით უმეტეს, რომ სტუდენტებს პირველი ორი ტურის მატჩების წაგების შემდეგ სხვა გზა არ დარჩენოდათ. ავიამშენებლებმა თავიდანვე გადაწყვიტეს უპირატესობის მოპოვება და მოიპოვეს კიდეც გააზრებული, მაგრამ ძალდაუტანებელი თამაშით. შედეგი პირველი მეოთხედის ბოლოს 10 ქულის უპირატესობაში გამოისახა — 29:19. მეორე მეოთხედში არც თამაშის სტრუქტურა შეცვლილა დიდად და არც ანგარიში. სტუდენტებმა ამჯერადაც 19 ქულა მოაგროვეს, რაც „ავიამშენმა“ 25 დაუპირისპირა. მატჩის მეორე ნახევარში სტუ-მ გააუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ ნაწილობრივ, საბოლოოდ ავიამშენებლებთან სტუდენტები მაინც დამარცხდნენ 80:92. გამარჯვებულთაგან **ბარბაქაძის** წილად 21 ქულა მოდის, სტუ-დან საუკეთესო იყო **კოხრეიძე** — 18. „მაქაბი“ — „აზოტის“ შეხვედრაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — გაიმარჯვა ძლიერმა. თუმცა მასპინძელთაგან, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა **გიორგი შერმადინი,** რომელმაც თავისიანებს 19 ქულა მოუტანა. რუსთაველთაგან ყველაზე მეტი ქულა (21) **გოგობერიშვილმა** მოაგროვა. მაქაბელებმა ოთხივე პერიოდი პირწმინდად წააგეს — შესაბამისად 22:32, 15:26, 22:33, 9:28. საბოლოო ჯამში სხვაობამ 51 ქულა შეადგინა — 68:119.

მესამე შეხვედრაში ამ ტურამდე თანაბარქულიანი „დინამო“ და თსუ დაუპირისპირდა ერთმანეთს. „დინამომ“ ამ დღეს უკვე სასტარტო მესამე მატჩი წააგო ზედიზედ და სტუ-სთან ერთად იმ გუნდად რჩება, რომელსაც მიმდინარე სეზონში გამარჯვება არ უგემია. ოდესღაც სახელოვანმა „დინამომ“ ეს შეხვედრა 68:76 დათმო. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო **ბ. ბერიშვილი** (17), დინამოელთაგან — **გვიმრაძე** (20).

IV ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: სტუ — „დინამო“, თსუ — „მაქაბი“, „ავიამშენი“ — „აზოტი“, მატჩები გაიმართება 4 ნოემბერს.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აზოტი | 3 | 3 | 0 | 6 |
| ავიამშენი | 3 | 3 | 0 | 6 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 5 |
| მაქაბი | 3 | 1 | 2 | 4 |
| დინამო | 3 | 0 | 3 | 3 |
| სტუ | 3 | 0 | 3 | 3 |

# აკოსტა და ახვლედიანი კვლავ ითანამშრომლებენ

**ტოკიოში გამართულ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის 30-ე კონგრესზე, მსოფლიოში ფრენბურთის განვითარების კომისიის წევრად ოთხწლიანი ვადით მეორედ აირჩიეს საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი. კონგრესზე მექსიკელი რუბენ აკოსტა კიდევ ერთხელ აირჩიეს სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტად. შეგახსენებთ, რომ აკოსტა ამ ორგანიზაციას სათავეში უდგას 1984 წლიდან.**

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ბერლუსკონის უჩივლეს...

**გუშინ იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრს საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელს სილვიო ბერლუსკონის და მის ბრიტანელ ადვოკატს დევიდ მილზს მილანის მაგისტრატურმა სასამართლომ წაუყენა ბრალდება.**

**ბერლუსკონის კორუფციაში ადანაშაულებენ. მოსამართლე ფაბიო პაპარელამ გამოიტანა განაჩენი, რომ ბერლუსკონი და მილზი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ. ორივე მათგანს 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

### ჰაკინენი ბრუნდება?

**გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ფორმულა-1“-ს შეიძლება დაუბრუნდეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფინელი პილოტი მიკა ჰაკინენი. ის ერთ-ერთი პილოტის მენეჯერად იმუშავებს.**

# ამბროლაური




ნამდვილი სპორტული ზეიმი მოეწყო ქ. ამბროლაურში, სადაც გაიმართა მსოფლიო ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, სასიქადულო მამულიშვილის **გურამ სადარაძის** სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში კადეტთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდების 165 ნორჩი ფალავანი. მონაწილეებს მიესალმა გურამ საღარაძე. სტუმართა შორის იყვნენ ცნობილი ფალავნები: **ალექსანდრე მაისურაძე, ნოდარ ხუციშვილი, როინ დობორჯგინიძე, ესტატე გოგლიჩიძე, თამაზ ბენდიანიშვილი, ვლადიმერ ვალიშვილი, ამირან მაისურაძე, გელა გელაშვილი, რამაზ ხარებაშვილი, რობიზონ ჩალაძე** და **ნუგზარ გაჩეჩილაძე.** უამრავმა მაყურებელმა იხილა საინტერესო ორთაბრძოლები.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **კახა გეწაძე**) მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა ამბროლაურელ ტექნიკურ მოჭიდავეს **გიორგი გოგობერიშვილს** (35 კგ), ადგილობრივი 36-ე სპორტსკოლის მიერ გამოყოფილი **იორამ სადარაძის** სახელობის პრიზის მფლობელი გახდა მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** (თბ). ტურნირის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა **ოთარ სირაძემ**, ამბროლაურის კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის



განყოფილების, №36-ე სპორტსკოლის (დირექტ. **ბონდო სარდანაშვილი**) თანამშრომლებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით. შეჯიბრება რესპუბლიკური კატეგორიისაა და ამ რანგის რიგით მესამე ასპარეზობა იყო. გამარჯვებულები და პრიზიორები პირდაპირ ხდებიან საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრობის კანდიდატები. წონების მიხედვით გამარჯვებულები არიან; **26 კგ** — თორნიკე ბოჭორიშვილი (ამბრ); **29 კგ** — გიორგი გელაშვილი (ხაშური); **32 კგ** — თორნიკე ასრათაშვილი (საგარ); **35 კგ** — გიორგი გოგობერიშვილი (ამბ), **38 კგ** — ოთარი გოგავა (ხონი), **42 კგ** — ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური); **46 კგ** — ავთანდილ ჯიოევი (თბ, მართვე), **50 კგ:** კოტე ჯანაძე, **54 კგ** — თორნიკე ლურსმანაშვილი (ორივე — ქუთ); **58 კგ** — დავით ხუციშვილი (საგარ); **63 კგ** — გიორგი მელქაძე (ქუთ), **69 კგ** — რევაზ ჯანელიძე (თბ. მართვე); **76 კგ:** ოთარ ეროტაძე (თბ); **85 კგ** — ივანე უძილაური (საჩხ), **მძიმე** — გიორგი საკანდელიძე (თბ, მართვე).

# გორი

თბილისის, ახმეტის, ბორჯომის, ქარელის, ზესტაფონისა და ხაშურის ძიუდოს ნაკრები გუნდების 150-მდე ჭაბუკი ფალავანი მონაწილეობდა გორში გამართულ ცნობილი მოჭიდავის **დურმიშხან ბერუაშვილის** სახელობის ტრადიციულ ტურნირში ძიუდოში. ჩემპიონები გახდნენ: გორელები — **ლაშა გიუნაშვილი (42), ვანო გოგიაშვილი (46), ოთარ კაიდარაშვილი (50), მამუკა გელაშვილი (60), გიორგი ჩხიკვაძე (66) და გიორგი ხორბალაძე (მძიმე)**; თბილისელები — **ამირან მაჭავარიანი (55), გიორგი მურმანიშვილი (73), გოჩა ღვაჩლიანი (81), თორნიკე იჩქითი (90).**

# ვინც იმსახურებს, დაეხმარეთ...

## ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტული კლუბი „იმედი“ ოთხი წლისაა

4 წლის წინათ თავისუფალი ჭიდაობის ახალგაზრდა მწვრთნელმა **სოსო ბზარაშვილმა**, თანამოაზრემ **გია ბაყაშვილმა** და სხვა კეთილმა ადამიანებმა ავჭალაში საჭიდაო დარბაზი მოაწყვეს. შეიძინეს ნახმარი საჭიდაო ხალიჩა — ლეიბები, ინვენტარი. სპორტულ სექციაში ჩაბეს მრავალი მოზარდი. ამ კარგ საქმეს ისიც დაემატა, რომ ბაზაზე ჩამოაყალიბეს სპორტული კლუბი, რომელსაც ეწოდა თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონის, მსოფლიო პირველობებში და ევროპის ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებულის **ლერი ხაბელოვის** სახელი. სწორედ სკოლის ოთხი წლისთავს მიეძღვნა ავჭალაში რესპუბლიკური პირადი პირველობა (მთავარი მსაჯი **პაატა მამულაშვილი**) თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა (14-15 წ) შორის, სადაც 14 წონით კატეგორიაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 130-მდე ნორჩი ფალავანი.

**კვარცხლბეკი. 26 კგ:** 1. იმედა მაკაროვი (ახმ), 2. გიორგი აბზიანიძე (ლ. ხაბელოვის კლუბი), 3. გაშიტ კურბანოვი (მარნ) და გიორგი ქოჩლიშვილი (გ. კარტოზიას კლუბი); **29 კგ:** 1. რამაზ დარჩიძე (აჭარა), 2. ტაიფუნ აბდულაევი (მარნ), 3. შოთა ცაძეკიძე (ახმ) და ჯამალ გუსეინოვი (მარნ); **32 კგ.** 1. ბექა სურმანიძე (გ. კარტ. კლ), 2. გოგა კაპანაძე („მართვ“), 3. ლერი კვიციანი და მგელიკა ცოციაშვილი (ორივე — ლ.ხაბ. კლ); **35 კგ:** 1. გიორგი რევაზიშვილი (ლ.თედიაშვილის კლუბი), 2. გიგა გიგაშვილი (გ. კარტ. კლ), 3. სამიდი მამედოვი (მარნ) და ლაშა მიხეილიძე („მართვე“); **38 კგ:** 1. ჩინგიზ ქახაჯოვი (მარნ), 2. დავით ნიკურაძე (ლ. თედ. კლ), 3. თორნიკე გრძელიშვილი და ლაშა გობეჯიშვილი (ორივე — „მართვე“); **42 კგ:** 1. გიორგი დაბრუნდაშვილი (ლ. ხაბ. კლ), 2. თემურ ფიჩხარაშვილი („მართვე“), 3. ზაურ მარგიევი (ლ. ხაბ. კლ) და ილჰამ კურბანოვი (მარნ); **47 კგ:** 1. კოტე გავაშელი (ლ. თედ. კლ), 2. დავით ასტვაცატურიანი (ლ.ხაბ. კლ), 3. ვაჟა კოჭლამაზაშვილი (გ. კარტ. კლ) და ნიკა ფერხული (ლ. ხაბ. კლ); **52 კგ:** 1. გიორგი გოგალაძე (ვაზისუბანი), 2. გიორგი თაბაგარი (გ. კარტ. კლ), 3. ლევან დიდებაშვილი (ლ. ხაბ. კლ) და თორნიკე ლვაბერიძე (გ. კარტ. კლ); **58 კგ:** 1. სანდრო ამინაშვილი (გ. კარტ. კლ), 2. ნოდარ სუთიაშვილი (ლ. თედ. კლ), 3. გიორგი სიმონიშვილი (გურჯ) და ლაშა კანთელაძე (ლ. თედ. კლ); **64 კგ:** 1. რევაზ ივანიშვილი, 2. ზურაბ მარტიაშვილი (ორივე — გ. კარტ. კლ), 3. დათო მაჭავარიანი (ლ. თედ. კლ) და გიორგი კახიაშვილი (ახმ); **70 კგ:** ფრიდონ თანიაშვილი (გ. კარტ. კლ), 2. ლევან გვილავა (მართვე), 3. დათო კობახიძე (ლ. თედ. კლ); 76 კგ: 1. მიხეილ კენჭაძე, 2. ოთარ ქაფიანიძე (მართვე); **85 კგ:** 1. თედო ებანოიძე, 2. გიორგი ასლანიშვილი (ორივე — ლ. თედ. კლ); მძიმე: 1. კახა გაბეჩავა, 2. ანზორ გიორგობიანი (ორივე — ლ. თედ. კლ), 3 ლევან გულნაზაროვი (ვაზისუბანი);

პრიზები გადაეცათ სანდრო ამინაშვილს (საუკეთესო ტექნიკისთვის) და რამაზ დარჩიძეს (შეუპოვარი ბრძოლისათვის).

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ კეთილი საქმის თაოსნებს მხარში დგომა აუცილებლად ესაჭიროებათ . კერძოდ, უკვე მოძველებული ერთი ამორტიზირებული ხალიჩა ვეღარ „უმკლავდება“ კლუბში მოზღვავებულ მომეცადინეთა დიდ რაოდენობას. ენთუზიასტები იმედოვნებენ, რომ შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაეხმარება ავჭალაში ნაყოფიერად მომუშავე კლუბ „იმედის“ მწვრთნელებსა და აღსაზრდელებს.

ომარ ჩხაიძე.

# გაგიგიათ? — სპორტის მესვეურები დაიმალნენ... ერიჰაა!

წარსულში ცნობილი ძალოსნის, საქართველოს ჩემპიონის და მრავალგზის რეკორდსმენის **სანდრო გოგოლაურის** სახელის უკვდავსაყოფად რუსთავ ქალაქობის დღეებში გაიმართა ტურნირი ძალოსნობაში. შეჯიბრების ჩატარების ორგანიზატორი იყო ასევე წარსულში ცნობილი ძალოსანი და ამჟამად რუსთავში სპორტის ამ სახეობის წამყვანი მწვრთნელი **ვახტანგ ლობჟანიძე.** მონაწილეებში ძირითადად ჭარბობდნენ თბილისელი და რუსთაველი ათლეტები. ასპარეზობისას ფიცარნაგზე გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებიც სულ მალე დაიმკვიდრებენ ადგილს საქართველოს ნაკრებში. აი ისინიც: **ნიკა და გიორგი წიკლაურები, გიორგი თაქთაქიშვილი, ლევან ხიზაურაშვილი** (ყველა — თბ), **რევაზ რამაზაშვილი** (თელავი), **გურამ გიორგაძე** (თელეთი) და კასპელი **არჩილ ქენქაძე.** გასაოცარი შედეგი აჩვენა ლობჟანიძის 14 წლის შვილიშვილმა უმცროსმა **ვახტანგ ლობჟანიძემ,** რომელმაც თავისი ასაკისათვის გასაკვირი წონა 100 კგ. დაძლია. ამაზეა ნათქვამი — „კვიცი გვარზე ხტისო“, შვილიშვილი ბაბუის კვალს გაჰყვა.



**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:** რომან სარქისიანი (56 კგ), გიორგი სიდამონიძე (62), შალვა ლორთქიფანიძე (69), კობა ობოლაშვილი (77), დავით ნოზაძე (85), ილია როსტომშვილი (94), გიორგი ასლამაზოვი (105) და ლევან მამისაშვილი (მძიმე). ყველა ჩემპიონი და რამდენიმე პრიზიორი ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის გივი კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი **ავთანდილ მენაბდე,** უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გურამ ფარულავა**) სპორტსმენებია.

სტუმარ-მასპინძლების გაოცება გამოიწვია იმან, რომ ქ. რუსთავის სპორტის მესვეურები ახლოსაც არ გაკარებიან მათ გარეშე ასე კარგად ორგანიზებულ ტურნირს.

ირაკლი სირბილაძე,
რუსთავი.



საქართველოს XVIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# რეგიონალური ლიგა

**დასავლეთი სამეგრელო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 9 | 6 | 1 | 2 | 14-7 | 19 |
| მგლები2 (ზ) | 9 | 5 | 2 | 2 | 15-4 | 17 |
| გაგრა3 | 9 | 4 | 2 | 3 | 11-13 | 14 |
| დინამო (ზ) | 8 | 4 | 1 | 3 | 17-11 | 13 |
| სქური (წლ) | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| კოლხა (ფ) | 9 | 3 | 2 | 4 | 13-12 | 11 |
| მერანი(მარტვ) | 8 | 3 | 1 | 4 | 14-15 | 10 |
| სამეგრელო(ჩხ) | 8 | 0 | 0 | 8 | 7-30 | 0 |

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა2 | 10 | 8 | 1 | 1 | 28-14 | 25 |
| სამგორი | 9 | 6 | 1 | 2 | 24-9 | 19 |
| სიონი2 | 9 | 5 | 3 | 1 | 13-6 | 18 |
| ცხუმი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-4 | 18 |
| ჰერეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| გარეჯი | 9 | 5 | 1 | 3 | 12-11 | 16 |
| ალგეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 14-8 | 16 |
| ოჩამჩირე | 9 | 3 | 3 | 3 | 15-12 | 12 |
| თბილისი | 9 | 4 | 0 | 5 | 12-19 | 12 |
| ხრამი | 9 | 2 | 5 | 2 | 13-10 | 11 |
| არაგველები | 10 | 2 | 4 | 4 | 15-20 | 10 |
| ნ.დინამო2 | 9 | 2 | 3 | 4 | 13-19 | 9 |
| რუსთავი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-15 | 5 |
| ფორვარდი | 10 | 1 | 1 | 8 | 7-29 | 4 |
| დურუჯი | 9 | 1 | 0 | 8 | 5-13 | 3 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 8 | 6 | 1 | 1 | 26-5 | 19 |
| ცხინვალი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-7 | 19 |
| ბორჯომი2 | 8 | 5 | 0 | 3 | 16-10 | 15 |
| 35-ე სკ | 9 | 4 | 3 | 2 | 15-14 | 15 |
| ზოოვეტი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-10 | 14 |
| მერანი2 | 8 | 4 | 2 | 2 | 17-14 | 14 |
| მაუდი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-21 | 13 |
| მესხეთი2 | 8 | 3 | 2 | 3 | 13-8 | 11 |
| არაგვი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-15 | 9 |
| თ.ს. აკადემია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-20 | 9 |
| ლიახვი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-12 | 7 |
| ვარძია | 9 | 1 | 0 | 8 | 6-30 | 3 |
| ამირანი (თბ) | 9 | 0 | 3 | 6 | 10-16 | 3 |

**დასავლეთი. იმერეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 7 | 7 | 0 | 0 | 19-3 | 21 |
| ტორპედო2 | 7 | 5 | 1 | 1 | 20-9 | 16 |
| მართვე | 7 | 5 | 1 | 1 | 13-8 | 16 |
| დინამო2 (ბთ) | 7 | 3 | 3 | 1 | 9-2 | 12 |
| სამტრედია2 | 7 | 3 | 2 | 2 | 14-8 | 11 |
| შუქურა | 7 | 3 | 1 | 3 | 7-9 | 10 |
| მარგვეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-4 | 9 |
| კახაბერი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-11 | 7 |
| სულორი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-17 | 6 |
| მაღაროელი2 | 7 | 1 | 1 | 5 | 8-20 | 4 |
| დინამო (ქ) | 7 | 1 | 1 | 5 | 4-13 | 4 |
| იმერეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 9-20 | 3 |

**სამცხე — ჯავახეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ნინოწმინდა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| ახალქალაქი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ახალციხე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ასპინძა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| ადიგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

შედეგები იხ. მე-4 გვ.

# ყველაფერი პორტუგალიელებთან მატჩში გადაწყდება

პირველი გვერდიდან

ფლობდა — 14:6.

აქ მასპინძლები დამშვიდნენ, ესპანელებმაც ცოტათი ამოისუნთქეს და როკემ კიდევ ერთი საჯარიმო მიითვალა. ამას ურჯუკაშვილის საჯარიმო მოჰყვა და ანგარიში 17:9 გახდა საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ავთანდილ კოპალიანის და ურჯუკაშვილის ლელოების შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობამ 25 ქულას მიაღწია — 34:9.

კიდევ ერთი ლელოს გატანა შეეძლოთ ქართველებს, მაგრამ მასპინძელთა შეტევა ესპანელმა სემპერემ ჩაჭრა და ლელო იქით გაგვიტანა. სტუმრებმა 10 წუთში კიდევ ერთხელ იხეირეს — გონსალესმა 11 ქულამდე შეამცირა სხვაობა — 34:23. ეს იყო და ეს — ესპანელებმა მეტი ვერაფერი შემოგვთავაზეს. საბოლოო წერტილი ამ შეხვედრას ირაკლი გიორგაძის მიერ 40 მეტრი მანძილიდან გასროლილმა არეკნმა დაუსვა — 37:23. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს მორაგბეთა სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი გვენეტაძემ** განაცხადა: „უნდა აღვნიშნო, რომ ესპანელთა ნაკრები ბოლო დროს პროგრესს განიცდის. ორი წლის წინანდელისაგან ეს გუნდი ძალიან განსხვავდება. დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ახლა მომავალ თამაშზე ვფიქრობთ.“

თამაშის შედეგით უკმაყოფილო იყო ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი **ჟერარდ გლინი:** „განადგურებულები ვართ. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ წარმატებისათვის მიგვეღწია. ჯერ არ გვყავს ისეთი გუნდი, რომ ძლიერ მეტოქეს მოვუგოთ. საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს თამაში ხელახლა რომ ჩატარდეს, 15-ის ნაცვლად 20 მოთამაშეს გამოვიყვანდი, — სხვაგვარად ქართველი მორაგბეების შეჩერება შეუძლებელია“.

ამრიგად, ამ გამარჯვების შედეგად საქართველოს ნაკრებმა „ბ“ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ახლა „ა“ ჯგუფის მეორეადგილოსან პორტუგალიის ნაკრებს შეერკინება მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზურისათვის.

პირველი შეხვედრა 11 ნოემბერს თბილისში ჩატარდება, ხოლო განმეორებითი — 25 ნოემბერს პორტუგალიაში.

**28 ოქტომბერი, მიხეილ მესხი.**
**8 000 მაყურებელი**
**საქართველო — ესპანეთი 37:24**

**საქართველო:** ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე, გიგაური (დ. კაჭარავა 75), ი. გიორგაძე, შკინინი, ბარკალაია (ელიზბარაშვილი 66) სამხარაძე (აბუსერიძე 55); შველიძე (ხინჩაგიშვილი 55), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი 41) ზედგენიძე (კაპ) გორგოძე, ურუშაძე, ზ. მაისურაძე, უდესიანი, ნემსაძე, სუთიაშვილი.

**ესპანეთი:** სემპერე, მოტა (ლავინო 65), ენსისო (კაპ), კანოსა, ალვარესი (მარტინი 55), როკე (კოვალენკო 41) ფეიხო, ბურგალეტა (ინსაუსტი 55), სიდრი, სალასარი, ებეტი (სოუტო 55), ბერნასკონი, კამაჩო, მატა, ასტარლოა, (გონსალესი, 61), ბორკესი.



საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1950-1960 წლებში




მარცხნიდან: I რიგში – მ. ღუდუშაური, ო. ძებისაშვილი, შ. მდინარაძე, ა. ქორიძე, გ. ზიტიაშვილი; II რიგში – გ. კარტოზია, რ. აბაშიძე, ვ. მაისურაძე, რ. ძნელაძე.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტმა 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, გაჩნდა იმის ღრმა რწმენა, რომ საბჭოთა სპორტული მოძრაობა სწორი გზით მიდიოდა. ახლა მხოლოდ საჭირო იყო მისი შემდგომი სრულყოფა, მასობრიობის გზით და ისეთი კომპლექსური საშინაო ასპარეზობის ორგანიზება, რომელიც ოლიმპიურ თამაშებთან იქნებოდა მიახლოებული. მწვავე კონკურენციის პირობებში. ამ ასპარეზობას უნდა აემაღლებინა სპორტსმენთა ოსტატობა, შეერჩია უძლიერესები უძლიერესთა შორის. ჩანაფიქრი გასაგები იყო – უფრო ძლიერი შემადგენლობით წარმდგარიყო საბჭოთა დელეგაცია მომავალ ოლიმპიურ თამაშებში. უახლოესი, 1956 წლის ოლიმპიადა, როცა ეს გადაწყვეტილება (1955 წ) მიიღეს, უკვე კარს იყო მომდგარი. დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ეს კომპლექსური ღონისძიება, რომელიც ისტორიაში შევიდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სახელით, იმავე, 1956 წელს ჩატარდა მოსკოვში. მთელი წელიწადნახევარი სპორტულ ორგანიზაციებში სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით მიმდინარეობდა მუშაობა. უნდა ითქვას, რომ მზადებამ მაღალ დონეზე ჩაიარა და კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა სპორტის საფუძვლები.



სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებს წინ უსწრებდა ეტაპობრივი ასპარეზობები ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებიდან დაწყებული, რესპუბლიკური სპარტაკიადების ჩათვლით.

სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა იმთავითვე გრანდიოზულ სპორტულ ზეიმად იქცა. პირველი სპარტაკიადის ფინალში იასპარეზა 9244-მა რჩეულმა ათლეტმა სპორტის 20 სახეობაში. დამყარდა მსოფლიოს 9, საკავშირო 33 და 355 რესპუბლიკური რეკორდი, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა 652 სპორტსმენმა.

1956 წლის პირველ სპარტაკიადაში საქართველოს წარგზავნილები საერთო გუნდურ ჩათვლაში გავიდნენ V ადგილზე მოსკოვის, რსფსრ-ის, ლენინგრადისა და უკრაინის შემდეგ. როგორც ხედავთ, რუსეთმა, ფაქტობრივად, გამოიყვანა სამი გუნდი. თუ ისიც ერთი გუნდით იასპარეზებდა, მაშინ საქართველოს წილხვედრი არა, V, არამედ III საპრიზო ადგილი იქნებოდა. რუსეთმა სამი გუნდით მონაწილეობის ტენდენცია შემდეგ სპარტაკიადებშიც, სსრ კავშირის დაშლამდე შეინარჩუნა.

ახლა ვნახოთ თუ რამდენი მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1956 წლის სპარტაკიადაში. სტატისტიკა ასეთია: ოქროს მედალი – 4, ვერცხლისა – 7, ბრინჯაოსი – 8. როგორც ვნახეთ, სპარტაკიადა მელბურნის ოლიმპიადის წელს ჩატარდა და წინ უსწრებდა მსოფლიო სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა გამოსავლენად და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად, სპარტაკიადა დამატებით შანსს აძლევდა როგორც სპორტსმენებს, ისე, სპეციალისტებს. საბჭოთა სპორტსმენების მეორე ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებამ, ამ გრანდიოზულ ქვეყანაში მართლაც რომ სპორტის ყოველი სახეობის ნაკრებში თითოეული ადგილისთვის მწვავე კონკურენციის პირობებში ჩაიარა. ნაკრების თავკაცები ქართველი ათლეტების წინასაოლიმპიადო მიღწევებმა აიძულა საქართველოსთვის იმჟამინდელი არასახარბიელო პოლიტიკური კლიმატის მიუხედავად, დაეთმოთ პრინციპები. ეს ის პერიოდია, როცა ზენიტს აღწევს სტალინის პიროვნების კულტის მხილება. თბილისში 9 მარტის ტრაგედია კრემლიდან დაიგეგმა და იმავე კრემლში, ვინც საბჭოთა სპორტული დელეგაციის ფორმირებას კურირებდა, სულაც ვერ იქნებოდა პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალი. და მაინც, მართალია, წინა ოლიმპიადასთან შედარებით ნაკლები, მაგრამ საქართველოდან 10 სპორტსმენი მაინც მოხვდა საბჭოთა ნაკრებ გუნდებში. ეს იყო იძულებითი დათმობა იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა სპორტის მესვეურებს კრემლი დაჟინებით ჰელსინკში მიღწეული მაღალი შედეგების არათუ შენარჩუნებას, არამედ მეტსაც სთხოვდა. სწორედ სპეციალისტთა პასუხისმგებლობამ განაპირობა ერთგვარი დათმობა და შედარებით თავისუფლება ოლიმპიელთა არჩევანში. მაშ ასე, საქართველოდან 10 რჩეული სპორტსმენი გაუყვა მელბურნისკენ (ავსტრალია) მიმავალ შორეულ გზას (სხვათა შორის, თბომავალ „საქართველოთი"). 10 მონაწილიდან საქართველოში 8 მედლით დაბრუნდა. ეს იყო უბრწყინვალესი მიღწევა იმ პერიოდისთვის. გივი კარტოზია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და მირიან ცალქალამანიძე თავისუფალში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ (ორივე – თავისუფალი ჭიდაობა), რომან ძნელაძემ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ნადეჟდა ხნიკინა – დვალიშვილმა (მძლეოსნობა), ბორის ნიკიტინმა (ცურვა), ნოდარ გვახარიამ (წყალბურთი). მოფარიკავე რევაზ ცირეკიძემ ნახევარფინალში გააღწია და V ადგილზე დარჩა, ამავე სახეობაში ნახევარფინალშივე VII ადგილით დაასრულა ასპარეზობა იური ოსიპოვმა.

ზაფხულის XVI ოლიმპიურ თამაშებს 1956 წლის 22 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით უმასპინძლა მელბურნმა. თამაშებში მონაწილეობდა 67 ქვეყნის 3148 სპორტსმენი, რომელთაგან 371 ქალი იყო.

საბჭოთა დელეგაციაში 283 სპორტსმენი შედიოდა 42 ქალაქიდან და დასახლებული პუნქტიდან. გარდა ბალახის ჰოკეისა, საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს თამაშების ყველა პროგრამაში. სულ მათ მოიპოვეს ოქროს – 37, ვერცხლის – 29 და ბრინჯაოს – 32 მედალი. უახლოესმა კონკურენტებმა აშშ-ის სპორტსმენებმა შესაბამისად 32, 25 და 17 მედალი მიიღეს, როგორც მედლების ხარისხით და რაოდენობით, ისე არაოფიციალურ ჩათვლაში დამსახურებული ქულებით საბჭოთა სპორტული დელეგაცია პირველ ადგილზე გავიდა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**
**გაგრძელება იქნება.**
**დასაწყ. „ლელო" №56-დან.**

**სასოწარკვეთილების** სათავე უნდა მოიშალოს იმისათვის, რათა ადამიანმა სრულფასოვან ბედნიერებას მიაღწიოს, აუცილებლობა შობს ზოგჯერ მეგობრობის გრძნობას.

ჭეშმარიტი ადამიანისთვის მეგობრობის, ღირსების გაგება უცხო არ უნდა იყოს, მეგობრობა აუცილებლობის გრძნობაა, სულიერ მდგომარეობას უკან დასახევი გზა არ უნდა ჰქონდეს, როცა საქმე მეგობრობას ეხება, თვით აღზრდის ზნეობრივი კატეგორიები წარმოუდგენელს ხდის თვალის დახუჭვას მეგობრის ტრაგედიებზე...

ჭეშმარიტ მეგობრობაზე მრავალი საყურადღებო ნაწარმოები დაწერილა „ვეფხისტყაოსნის" გახსენება რად ღირს. ავთანდილი უზადო მეგობარია. იგი, ფაქტობრივად, თავს დებს მეგობრისთვის. მისი ანდერძი პირდაპირ ჰიმნია მეგობრობაზე მიძღვნილი.

სულხან-საბა ორბელიანთან ზუსტადაა ახსნილი მეგობრობის არსი და დანიშნულება. სხვა კლასიკოსებთან და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებშიაც მეტ-ნაკლებადაა გადმოცემული ეს უდიდესი გრძნობა. ისინი თავიანთ დიდ სულებში თავადვე დაატარებდნენ ამ უსათუთეს გრძნობას.

დიდი საქმეც უმეტესწილად მეგობრის წყალობით და ხელშეწყობით კეთდება. გაიხსენეთ ავთანდილი რომ არ მოვლენოდა მეგობრად ტარიელს, იგი დარდის, ნაღველისა და უიმედობის მსხვერპლი გახდებოდა.

ყველა მეგობარი როდია, ვერ გაიხდი ყველას მეგობრად. ყველა ვერც გაგიწევს მეგობრობას. ბევრი ფარისეველია მეგობრის ნიღბით, ბევრი მგელია ცხვრის ტყავში გახვეული. ღალატი, ერთმანეთის ძვირის თქმა, გაუტანლობა... კაცობრიობის თანამდევი სენი გახდა, გგონია, მეგობარია, სინამდვილეში მახეს გიგებს, მეგობრობის ფენომენს ჩრდილი დაეცა, გაუფასურდა თითქოს იგი, სისხლისაგან დაიცალა...

მაგრამ მეგობრობის დიდი გრძნობა, სპორტსმენ ხალხში, სულითა და გულით ჯანსაღ ადამიანებში (და ეს უნდა აღინიშნოს), ძველი დოზით დარჩა თითქმის, სპორტსმენი (ამ შემთხვევაში ძიუდოისტს ვგულისხმობ) ამაყია თავისი ბუნებით, იგი თავმდაბლობით არის ამაყი და ეს თვისება უნდა ახასიათებდეს ნებისმიერ ადამიანს, პირველ ყოვლისა, სპორტსმენს, ტიტულოვანსაც და უტიტულოსაც, ვაჟკაცი ვაჟკაცის წესით უნდა ცხოვრობდეს, ცხადია, ნაღდი ვაჟკაცის სიტყვა არ გატყდება და აქედან გამომდინარე, იგი არც თავის სიტყვას წაიღებს უკან.

ყველა შეჯიბრებაზე, რაც კი რესპუბლიკის ფარგლებში ტარდება, თითქმის ყველგან ჩავდივარ ჩემი შეგირდებით და, რასაც ვამჩნევ, ესაა, მწვრთნელი მწვრთნელს მოიკითხავს, ეხვევა, კოცნის, მეგობარი მეგობარს ეძებს, თვალებს აცეცებს აქეთ-იქით. არ იღლება მასთან საუბრით, ოხუნჯობით... თუმცა, ამისი დრო შეჯიბრებაზე ნაკლებია.

და ბოლოს, როცა შეჯიბრება ჩამთავრდება და ყოველგვარი ორომტრიალი ჩაივლის, კვლავ ერთიმეორეს ეძებენ მეგობრები, რათა დაემშვიდობონ, კაცურად ჩამოართვან ხელი ერთმანეთს...

მათი შემხვედვარე კაცი ბევრ რამეს ისწავლის: უპირველეს ყოვლისა, მეგობრობის არსს ჩასწვდება, კაცურკაცობის ენერგიით დაიმუხტება...

ნაღდ მეგობრად ვთვლი **დაზმირ ონიანს,** ჩინებულ მწვრთნელს, შემოქმედს, პიროვნებას.

იღბლიანი წიგნი

# ფიქრები ძიუდოსა და ძიუდოისტებზე

**ვაგრძელებთ „ლელოს" ზუგდიდელი კორესპონდენტის მერაბ ჯიქიას პუბლიკაციას ქართულ ძიუდოსა და ქართველ ძიუდოისტებზე**

ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ წუთისოფლის გზაზე, მათ ცხოვრების შინაარსი გაუმდიდრებიათ, ერთფეროვნება გაუფანტავთ, ზოგიერთს ისეთი სიკეთე დაუთესავს, დიამეტრულად შეუცვლია დამძიმებული მდგომარეობა. ეს არის სწორედ ის სიკეთის შუქი, რომელიც თან დაგვყვება წუთისოფლის გზაზე, იგი არც დაგეხსნება, სამარის კარამდე მიგაცილებს...

ასეთი სიკეთის შუქი გამომაყოლა დაზმირ ონიანმა. მას ამისთვის მადლობას ვწირავ. ხოლო, რაც შეეხება დაზმირს, იგი არის მეტად საინტერესო მწვრთნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ; აღმზრდელობით საქმიანობაში სრულყოფილად გამჟღავნდა დაზმირ ონიანის ნიჭი, მის სულიერ წყობას მომავალი თაობის აღზრდა მიესადაგა.

**ქართლოს პავლიაშვილი.** რაც მეტი განათლებულია ადამიანი, მით უფრო თავმდაბალი და კეთილშობილია იგი. ქართლოსს ბევრ სხვა ნიშანთან ერთად ახასიათებს თავმდაბლობა და კეთილშობილება. თავმდაბლობა გონიერების, ზნეობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, ხოლო კეთილშობილება – ადამიანურობის, კაცურკაცობის უტყუარი გამოხატულება.

რაში გამოიხატება მისი თავმდაბლობა და კეთილშობილება? აბსოლუტურად – ყველაფერში: მოქცევაში, ხასიათში, ურთიერთობაში, სიყვარულში, მეგობრობაში.

**გურამ მოდებაძე.** „საქართველოს სპორტული საზოგადოება „შევარდენის", ძიუდოს ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორი", – ასე გვამცნობს 2001 წელს გამოცემული ჟურნალი „ფალავანი" გურამ მოდებაძეს.

ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს რომელიმე პიროვნების თანამდებობა, არც ის, რა შემოსავლები აქვს და საიდან, არამედ გვინდა მკითხველს დავანახვოთ ამა თუ იმ მწვრთნელის (სპორტსმენის) სულიერი მდგომარეობა, დავხატოთ პორტრეტი ადამიანისა და წარმოვადგინოთ იგი ისეთად, როგორიც არის ცხოვრებაში, როგორია თავის მეგობრებთან, თავის შეგირდებთან მიმართებაში და ა.შ. თუმცა, შეუძლებელია ადამიანის ფიქრის კარდიოგრამა გადაიღო თუ გამოსახო და მკითხველს ჩანაწერის სახით მიართვა. პიროვნება ფასდება განვლილი ცხოვრების გზით, თავისი საქმიანობით და იმ კვალით, რომელსაც ის დაამჩნევს საზოგადოებაში.

**გურამ მოდებაძე** ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვინც თავისი საქმიანობით დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ნიჭიერ ხელმძღვანელ პირთა შორის.

**ბიჭიკო მარიდაშვილი.** თავისი საქმის ღრმად მცოდნე, თავშეკავებული, კეთილად აღზრდილი, მხოლოდ ამ ეპითეტით შეიძლება შეამკო იგი კაცმა.

**გიორგი თენაძე.** გორელი ძმების თენაძეების ერთმანეთისაგან გარჩევა თავდაპირველად მიჭირდა (არასოდეს არ მიკითხავს, მაგრამ, მგონი, ტყუპები არიან), ასეთი თავმდაბალი სპორტსმენები ჩემს სიცოცხლეში იშვიათად შემხვედრია. ისინი დიახაც, არიან ამაყები, მაგრამ თავმდაბლობით არიან ამაყნი. კაცი ასეთიც უნდა იყოს. რაც შეეხება გიორგის, იგი არის ჩვენი ერის იშვიათი თვისებების, ღირსების შესაკრებელი.

**გმირო ხაჩიძე.** როდესაც უფროსი თაობის მწვრთნელებზე ჩამოვარდება საუბარი, არ შეიძლება არ გაგახსენდეს გმირო ხაჩიძე. იგი მართლაც გმირია, ამას მისი სახელი და საქმე მოწმობს. ღმერთმა ასე გმირულად ატაროს მთელი თავისი ცხოვრების გზაზე.

**ჯონი ჯანიაშვილი.** იგი უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელია, მაგრამ დღესაც ახალგაზრდული ენერგიით უდგას ძიუდოს ერთ ნიშანსვეტად. ალალი, გულმართალი და სანდო პიროვნება.

ჯონი ჯანიაშვილს, ისე როგორც ყველა ღვთისნიერ ადამიანს, აქვს საოცარი დამოკიდებულება სპორტსმენებისადმი, კოლეგებისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, დამწყები მწვრთნელებისადმი. როცა ზესტაფონში ჩავდივართ ხოლმე შეჯიბრებაზე, ვიცით, იქ სხვებთან ერთად ჯონი ჯანიაშვილი დაგვხვდება თავისი განუმეორებელი ღიმილით, ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალბედა მწვრთნელებს დაგვმოძღვრავს... სასიამოვნოა ჯონი ჯანიაშვილთან ლაპარაკი ამა თუ იმ საკითხზე.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

**მიხეილ ქურხული** საკუთარი ერის და კუთხის ღირსეული წარმომადგენელია. თავისი საქმიანობით, იუმორითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული.

**ზეზვა შათირიშვილი** განსაკუთრებული სახეა ქართული ძიუდოს სინამდვილეში. იგი ახმეტაში ილვწის, ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურების სამშობლოში. ეს ერთგვარი მძიმე ტვირთია. მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება მწვრთნელს.

**გუგული აბრამიშვილი.** უბრწყინვალესი პიროვნება, სტუმართმოყვარე, ძიუდოზე საოცრად შეყვარებული, პროფესიონალი მწვრთნელი, კეთილად აღმზრდელი.

გუგული პირველი მწვრთნელია ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურისა. და არა მარტო ზურაბ ზვიადაურისა. კაცი მარტო ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონების აღზრდით როდი ფასდება. ის ადამიანობა და უშუალობა, რაც გუგული აბრამიშვილს დაანათლა განგებამ, რჩეულთა ხვედრია.

დღეს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გუგული აბრამიშვილი თელავში მსახურობს, ფარვანასავით დასტრიალებს თავს ჭიდაობის მოტრფიალე ქართველ ახალგაზრდობას.

**ვეფხია ბალხამიშვილი.** პირველად ქუთაისში ვნახე შეჯიბრებაზე, შემდეგ – თბილისში (არაერთხელ), დავინტერესდი, ვიკითხე, ვინ იყო, იგი აღმოჩნდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვეფხია ბალხამიშვილი. კაცურად ლამაზი, უწყინარი, უპრეტენზიო, მაგრამ საკუთარ თავში დაჯერებული, მეტად ყურადღებიანი, დაკვირვებული კაცი.

**მერაბ ჯიქია.**
**დასაწყისი „ლელოს" №80.**
**გაგრძელება იქნება**



**აბიტურიენტთა და უფროსკლასელთათვის!**

შაზეთ „შანსთან" არსებული სასწავლო ცენტრი

**„Golden Chance"**

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ამზადებს მოსწავლეებს

უნარ-ჩვევები, მათემატიკა, ქართული, ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული, ისტორია, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია ქიმია.

მისამართი: მეტრო რუსთაველი (ფილარმონიის მიმართულებით). ჭოველიძის (ყოფ. ბელინსკის) №2 გამომცემლობის შენობა, 1 სართული, ლიფტთან.

საკონტაქტო ტელეფონები: 98-91-84; 91-05-01; (საღამოს) 893 75-77-14;

# დაძაბული და სახეცვლილი



„დინამო“ — „ოლიმპი“
ფოტო ე. მალხაზიშვილისა

ერთობ დაძაბული გამოდგა უმაღლესი ლიგის მეათე ტური. უპირველესად, აღსანიშნავი ის არის, რომ ჩემპიონატის ლიდერი, ისევ შეიცვალა. უმთავრესი მატჩი ვაკეში შედგა. თბილისის „დინამომ“ უმძიმესი ორთაბრძოლა მოუგო რუსთავის „ოლიმპს“. შეხვედრა, ფაქტობრივად, სტუმრების კარნახით, შესამჩნევი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კვირას ფორტუნამ რუსთაველებს ზურგი აქცია, მასპინძლებს კი გაუღიმა. გადამწყვეტი 28-ე წუთი გახდა. **ბობოხიძის** უნაკლოდ შესრულებული პენალტი ოლიმპიელებმა მრავალი ცდის მიუხედავად, ველარ გაქვითეს. ასევე საკმაო იყო ჯარიმებიც და ფეხბურთელთა ემოციები, რამდენიმე წუთი, მსაჯის საბოლოო სასტვენმაც ვერ დააცხრო. „ოლიმპი“ პირველად დამარცხდა ჩემპიონატში და ლიდერობაც დათმო. რუსთაველებს მადევარმა „ამერმა“ გაასწრო. თბილისურ დერბიში გლდანელებმა დიდი ანგარიშით სძლიეს „ლოკომოტივს“ და „ოლიმპს“ ერთი, კინკილა ქულით უსწრებენ. დინამოელთა მსგავსად, ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს მეტოქეებს თბილისელ — მცხეთელმა ვეტერინარებმა და ზესტაფონელებმა. „ვიტ ჯორჯიამ“ ბათუმში ადგილობრივ „დინამოს“ სამი ქულით გამოასწრო, „ზესტაფონი“ კი ქუთაისიდან დაბრუნდა წელგამართული. თუმცა, დაძაბულობა და სიმძაფრე მატჩების უკანასკნელ წუთამდე იგრძნობოდა. შინ, განცდილი მარცხის გამო ლიდერთა პაექრობას, დროებით, ერთი კვირით, მეთერთმეტე ტურამდე, ჩამოშორდა „ტორპედო“. ქუთაისელებს წამოეწია და მხოლოდ, ერთი ქულით ჩამორჩება ჩემპიონი „სიონი“. ბოლნისელებმა შინ, უპრობლემოდ დაამარცხეს აუტსაიდერი თელაველები.

გარკვეულწილად, ვითარება შეიცვალა და განიმუხტა აუტსაიდერთა შორისაც. ბორჯომელებმა კონკურენტ საჩხერელებს გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგეს და „მერანთან“ ერთად, რომელმაც გორიდან „წამოიღო სამი ქულა, გათამაშების ცხრილის ფსკერს თავი დააღწიეს. კვირას მატჩების შემდეგ გამოიკვეთა აუტსაიდერთა სამეული, „ჩიხურა“, „დილა“, „კახეთი“, რომელთა მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდება. ჩემპიონატი კი სულ უფრო იძაბება. პირველი წრის დასრულებამდე სამიოდე ტური დარჩა და ალბათ ყველაფერს ნათელი ზუსტად ერთ თვეში, ნოემბრის ბოლოს მოეფინება. ათი სათამაშო დღის მერე ლიდერი „ამერია“.

## უმაღლესი ლიგა. X ტური

**29 ოქტომბერი**

ბორჯომი — ჩიხურა 3-1
დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია 0-1
დინამო (თბ ) — ოლიმპი 1-0
დილა — მერანი 0-1
ამერი — ლოკომოტივი 3-0
ტორპედო — ზესტაფონი 0-1
სიონი — კახეთი 5-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამერი** | 10 | 8 | 2 | 0 | 19-2 | 26 |
| **ოლიმპი** | 10 | 8 | 1 | 1 | 24-2 | 25 |
| **დინამო (თბ)** | 10 | 7 | 0 | 3 | 17-7 | 21 |
| **ვიტ ჯორჯია** | 10 | 6 | 3 | 1 | 18-12 | 21 |
| **ზესტაფონი** | 10 | 6 | 3 | 1 | 13-3 | 21 |
| **ტორპედო** | 10 | 5 | 3 | 2 | 10-6 | 18 |
| **სიონი** | 10 | 5 | 2 | 3 | 15-7 | 17 |
| **ლოკომოტივი** | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| **მერანი** | 10 | 3 | 2 | 5 | 8-16 | 11 |
| **ბორჯომი** | 10 | 2 | 2 | 6 | 13-21 | 8 |
| **დინამო (ბთ)** | 10 | 2 | 2 | 6 | 9-10 | 8 |
| **ჩიხურა** | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |
| **დილა** | 10 | 0 | 2 | 8 | 4-26 | 2 |
| **კახეთი** | 10 | 0 | 1 | 9 | 9-32 | 1 |

## პირველი ლიგა. XIII ტური

**30 ოქტომბერი**

ჩიხურა2 — გაგრა 2-0
სპარტაკი — ამერი2 0-0
მგლები — რაჭა 2-1
ვიტ ჯორჯია2 — ზესტაფონი2 1-0
გურია — მესხეთი 0-1 (მე-60 წუთზე თამაში ჩაიშალა)
მეშაქრე — ნ. დინამო 3-0
ოლიმპი — მერცხალი 9-2
მეშახტე — დინამო2 (თბ) 3-2
სამტრედია — მალაროელი 0-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები (ზგ) | 13 | 11 | 2 | 0 | 23-4 | 35 |
| მესხეთი (ახ) | 12 | 8 | 2 | 2 | 23-8 | 26 |
| მეშაქრე | 13 | 7 | 4 | 2 | 18-12 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 2 | 4 | 28-15 | 23 |
| გაგრა | 13 | 7 | 1 | 5 | 19-14 | 22 |
| ნ. დინამო | 13 | 6 | 2 | 5 | 18-15 | 20 |
| ვიტ ჯორჯია2 | 13 | 5 | 4 | 4 | 22-10 | 19 |
| ჩიხურა2 | 13 | 5 | 3 | 5 | 14-14 | 18 |
| დინამო2 | 13 | 5 | 2 | 6 | 20-13 | 17 |
| მეშახტე (ტყ) | 13 | 5 | 2 | 6 | 17-19 | 17 |
| მალაროელი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-14 | 17 |
| ზესტაფონი2 | 13 | 4 | 5 | 4 | 13-12 | 17 |
| სპარტაკი | 13 | 4 | 3 | 6 | 9-18 | 15 |
| ამერი2 | 13 | 3 | 5 | 5 | 16-17 | 14 |
| სამტრედია | 13 | 2 | 4 | 7 | 14-26 | 10 |
| მერცხალი(ოზ) | 13 | 2 | 3 | 8 | 13-33 | 9 |
| რაჭისრაჭა(ამბ) | 13 | 2 | 3 | 8 | 11-27 | 9 |
| გურია | 12 | 2 | 2 | 8 | 12-34 | 8 |



## იმედის თასი

**VII ტური**

ნ.დინამო (89) — გურია 5-2
არაგველები2 — ავაზა 3-1
შავნაბადა — ნ. დინამო (88) 2-0
სპორტლიდერი — ნ. დინამო (90) 0-2
მერანი — გრეტნა 4-0
ცხუმი2 — მიმინო 2-1
მთ. გლობუსი — მერანი1 5-1
გეორგია — ომც — საუ 2-2
დიოსკურია — თბილისი 3-3

**გადატანილი მატჩი**

ცხუმი2 — გეორგია — ომც 3-0

**ცენტრალური. IX ტური**

ვარძია — 35-ე სკ 1-3
ცხინვალი — თ.ს. აკადემია 4-1
ზოოვეტი — ოლიმპიკი 0-2
ბორჯომი2 — მერანი2 2-1
მაუდი — არაგვი 4-3
ლიახვი — ამირანი 2-1

**აღმოსავლეთი. X ტური**

ფორვარდი — თბილისი2 1-3
ჰერეთი — დურუჯი 4-1
გაგრა2 — ოჩამჩირე 2-0
რუსთავი — სამგორი 0-2
ხრამი — ცხუმი 1-1
არაგველები — ალგეთი 1-4
გარეჯი — სიონი2 1-1

**დასავლეთი. იმერეთი. VII ტური**

შუქურა — ტორპედო2 0-3
დინამო2 — კახაბერი 2-0
მართვე — მაღაროელი2 5-1
დინამო (ქ) — სულორი 3-1
იმერეთი — უნივერსიტეტი (ქ) 0-2
სამტრედია2 — მარგვეთი 1-1

### სამცხე — ჯავახეთის რეგიონალური ტურნირი 1992 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის

**I ტური**

ნინოწმინდა — ახალქალაქი 1-3
ახალციხე — ადიგენი 3-0
ბორჯომი — ასპინძა 5-0

**II ტური**

ასპინძა — ახალქალაქი 1-0
ნინოწმინდა — ახალციხე 4-0
ადიგენი — ბორჯომი 1-4

**იმედის თასი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო(90) | 7 | 6 | 1 | 0 | 22-11 | 19 |
| ნ. დინამო(89) | 7 | 5 | 2 | 0 | 17-5 | 17 |
| არაგველები2 | 7 | 3 | 3 | 1 | 16-9 | 12 |
| მთ. გლობუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-4 | 12 |
| გურია (თბ) | 6 | 3 | 2 | 1 | 10-8 | 11 |
| მერანი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-3 | 11 |
| შავნაბადა | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| საუ | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| თბილისი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-14 | 9 |
| გრეტნა | 7 | 2 | 2 | 3 | 9-15 | 8 |
| ცხუმი2 | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| სპორტლიდერი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 6 |
| გეორგია-ომც | 6 | 1 | 3 | 2 | 9-13 | 6 |
| ავაზა | 7 | 1 | 2 | 4 | 9-16 | 5 |
| დიოსკურია | 7 | 1 | 2 | 4 | 10-17 | 5 |
| ნ.დინამო (88) | 7 | 1 | 1 | 5 | 7-14 | 4 |
| მერანი1 | 6 | 1 | 0 | 5 | 6-14 | 3 |
| მიმინო | 7 | 0 | 2 | 5 | 6-14 | 2 |

**დასავლეთი. სამეგრელო. IX ტური**

კოლხა — სქური 2-2
დინამო (ზ) — კოლხეთი (ხ) 1-0
მერანი — გაგრა3 1-2
მგლები2 — სამეგრელო 5-0

## ჭაბუკთა ლიგა

**89 წლიანები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 7 | 7 | 0 | 0 | 34-3 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 7 | 0 | 1 | 24-5 | 21 |
| ოლიმპი | 8 | 6 | 2 | 0 | 14-3 | 20 |
| ცხინვალი | 7 | 6 | 0 | 1 | 20-7 | 18 |
| ტორპედო | 9 | 4 | 2 | 3 | 15-13 | 14 |
| მერანი | 9 | 4 | 0 | 5 | 14-11 | 12 |
| ამერი | 8 | 4 | 0 | 4 | 13-14 | 12 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 3 | 2 | 14-9 | 12 |
| ზესტაფონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-12 | 11 |
| ბორჯომი | 9 | 3 | 0 | 6 | 15-20 | 9 |
| დინამო (ბთ) | 8 | 2 | 2 | 4 | 13-17 | 8 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 10-18 | 6 |
| კახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-29 | 6 |
| ჩიხურა (სჩ) | 8 | 2 | 0 | 6 | 9-21 | 6 |
| დილა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-38 | 1 |

**90 წლიანები**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 10 | 10 | 0 | 0 | 29-5 | 30 |
| ოლიმპი | 9 | 7 | 1 | 1 | 34-4 | 22 |
| ჩიხურა (სჩ) | 9 | 6 | 2 | 1 | 27-6 | 20 |
| ტორპედო | 10 | 5 | 4 | 1 | 14-6 | 19 |
| ამერი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-6 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 3 | 2 | 20-4 | 15 |
| დინამო (ბთ) | 9 | 4 | 2 | 3 | 9-16 | 14 |
| დილა | 10 | 3 | 3 | 4 | 12-19 | 12 |
| ზესტაფონი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| მერანი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-25 | 10 |
| სიონი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-15 | 10 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 1 | 6 | 14-12 | 7 |
| კახეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-22 | 5 |
| ცხინვალი | 9 | 0 | 2 | 7 | 5-37 | 2 |
| ბორჯომი | 10 | 0 | 1 | 9 | 7-39 | 1 |

**91 წლიანები**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 10 | 10 | 0 | 0 | 27-3 | 3 |
| დინამო (ბთ) | 9 | 7 | 1 | 1 | 17-7 | 22 |
| ოლიმპი | 9 | 6 | 3 | 0 | 38-10 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 16-7 | 19 |
| მერანი | 10 | 5 | 1 | 4 | 20-21 | 16 |
| ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 11-12 | 15 |
| დილა | 10 | 4 | 2 | 4 | 16-17 | 14 |
| ტორპედო | 10 | 4 | 1 | 5 | 16-15 | 13 |
| ბორჯომი | 10 | 2 | 4 | 4 | 12-13 | 10 |
| ჩიხურა (სჩ) | 9 | 3 | 0 | 6 | 15-22 | 9 |
| სიონი | 9 | 3 | 0 | 6 | 5-15 | 9 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-19 | 9 |
| კახეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| ზესტაფონი | 9 | 2 | 0 | 7 | 14-26 | 6 |
| ცხინვალი | 9 | 0 | 0 | 9 | 7-35 | 0 |

# უმაღლესი ლიგა. X ტურის სტატისტიკა

**29 ოქტომბერი. თბილისი. „მ. მესხი“. 1000 მაყურებელი**

**დინამო (თბ) — ოლიმპი 1-0**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური. ნავალოვსკი, ლ. ხმალაძე, გ. მერებაშვილი, ამბროზიო (ზ. ჯანაშია 62), ა. კობახიძე, ს. იაშვილი (ლ. ნოზაძე 87), მ. ბობოხიძე (მ. ხუციშვილი 68).

**ოლიმპი:** მ. ალავიძე, რ. ონიანი, გ. ონიანი, ქებაძე, ხუბუა, სირბილაძე (გ. კახელიშვილი 46), სეთურიძე, თ. აფციაური, მიმინოშვილი (რ. გეწაძე 59), დვალიშვილი, გ.ხოჯავა (ც. კვარაცხელია 69).

**გოლი:** 1-0 მ. ბობოხიძე (28 პ)

**გააფრთხილეს:** აფციაური (17), გ. მერებაშვილი (30, 83), შ. კაშია (34), ქებაძე (63), გ. კახელიშვილი (75), გრიშიკაშვილი (79)

**გააძევეს:** მერებაშვილი (83)

**მსაჯი:** ლ. სილაგავა (თბილისი).

**29 ოქტომბერი. ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. 2000 მაყურებელი.**

**ტორპედო — ზესტაფონი 0-1**

**ტორპედო:** კოდალაევი, გოგია, ფარულავა, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, გურული, ლალაძე (დოლონაძე 46), გ. ჩხეტიანი, ზ. ჩხეტიანი, კრასოვსკი (ზ. ქუთათელაძე 46), წიქარიშვილი.

**ზესტაფონი:** გ. ჰანტურია, ე. საჯაია, შ. ღონღაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. ჰელიძე, ბ. ნოზაძე (განუგრავა 46), ვიეირა, ნ. კვასხვაძე, ფიფია (ბ. გოცირიძე 89), იონანიძე.

**გოლი:** 0-1 ფიფია (74).

**გააფრთხილეს:** გ. ჩხეტიანი (52), თოდუა (70).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**29 ოქტომბერი. გორი. „თ. ბურჯანაძე. 500 მაყურებელი**

**დილა — მერანი 0-1**

**დილა:** კეჩხუაშვილი, გ. ლომიძე, კობახიძე, ოლგესაშვილი, ბალიაშვილი, ნ. ნოზაძე, საყვარელიძე (აბრამიშვილი 80), კურტანიძე (სომხიშვილი 62), სადალაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ა. ლაბაძე (ი. თაყაძე 66).

**მერანი:** სეფიაშვილი, თურქია, ჯანგიძე, სარალიძე, ბესარაშვილი, კობერიძე, გაგუა, ფურთუხია (ხურცილავა 46), ბურჯანაძე (დათუნაშვილი 82), ლ. მანწკავა, ქემაშვილი (სულაქველიძე 77).

**გოლი:** 0-1 მანწკავა (55)

**გააძევეს:** ნოზაძე (88)

**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი).

**29 ოქტომბერი. თბილისი. „ამერი“ 1000 მაყურებელი**

**ამერი — ლოკომოტივი 3-0**

**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (ჯელაძე 70), დოლიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 72), ს. დავითაშვილი (დ. მჭედლიშვილი 82).

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, მხეიძე, დ. ფოფხაძე, კ. ავალიანი, გულორდავა, ებანოიძე (ჩივაძე 73), ალავერდაშვილი (ყოფიანი 83), მ. ქლენტი, ყანია (კალანდია 60).

**გოლები:** 1-0 დოლიძე (36), 2-0 ტატანაშვილი (77), 3-0 მჭედლიშვილი (89).

**გააფრთხილეს:** დავითნიძე (15), დოლიძე (23), ებრალიძე (87)

**მსაჯი:** მ. ბეუქლიშვილი (თბილისი)

**29 ოქტომბერი. ბათუმი. „დინამო“. 500 მაყურებელი**

**დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია 0-1**

**დინამო:** თოთლაძე, ექონია, ..ლობჟანიძე, გალოგრე, ქორიძე, ჯინჭარაძე, ცანავა (ა. ბაჯელიძე 60), ნაჭყებია (ბერიძე 82), კოშკაძე, რ. ჯიქია, ოქრუაშვილი (გოგოლაძე 75).

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, დ. ლომაია, გველესიანი, დილმელაშვილი, ლ. რაზმაძე, დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (კვალინაძე 89), გ. მელქაძე (ბეჟვაია 90), ბერიაშვილი (გელაშვილი 60).

**გოლი:** 0-1 გელაშვილი (65)

მე-40 წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ფეიქრიშვილმა.

**გააფრთხილეს:** გველესიანი (36), ლობჟანიძე (41), ჯიქია (61), გელაშვილი (65), რაზმაძე (80)

**მსაჯი:** გ. ვადაჭკორია (თბილისი)

**29. ოქტომბერი. ბოლნისი. „თ. სტეფანია“. 500 მაყურებელი**

**სიონი — კახეთი 5-0**

**სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, ღ. ჰელიძე, ჰიჰეიშვილი (ზ. ჰელიძე 80), რაქვიაშვილი, ვ. უგრეხელიძე, შავგულიძე, ლ. ბაჯელიძე, ა. ალავიძე (კეტიშვილი 61), ჩასემი (ბ. ცხადაძე 72), ევორე.

**კახეთი:** ცინაძე, ტარულაშვილი, ლომიძე (მურველაშვილი 61), მაღლაკელიძე, ნ. დავითაშვილი, კობაიძე, კველიშვილი, ტეტიაშვილი, ბიძინაშვილი (ა. ბურნაძე 61), ამირანიძე, წუწუნავა (ძამუკაშვილი 74).

**გოლები:** 1-0 ჩასემი (6), 2-0 ალავიძე (50), 3-0 ევორეე (76), 4-0 უგრეხელიძე (80), 5-0 ევორე (84).

**გააფრთხილეს:** ევორე (38), ცხადაძე (41), შავგულიძე (61).

**გააძევეს:** ტეტიაშვილი (44)

**მსაჯი:** ო. ხეცაძე (თბილისი)

**29 ოქტომბერი. ბორჯომი. „ჯ. ზეინკლიშვილი“ 500 მაყურებელი**

**ბორჯომი — ჩიხურა 3-1**

**ბორჯომი:** შეყრილაძე, ნ. ლომიძე, ქარქოზაშვილი, ბაქრაძე, სუხიაშვილი (ტალახაძე 89), ბენდელიანი, ნადირაშვილი (კიკნაძე 25), ზ. ავალიანი, გოგიჩაიშვილი, შ. ჯიქია, ნკემი.

**ჩიხურა:** მამალაძე, მემარნიშვილი, ბრეგვაძე, ს. ბურნაძე, გვეტაძე, ბუცხრიკიძე (მიქაძე 46), მესხი, გ. მანწკავა (ჩხეიძე 69), მარგალიტაძე (სტეფანიშვილი 67), ჩომახიძე, კაკალაძე.

**გოლები:** 1-0 კიკნაძე (40), 1-1 მესხი (50), 2-1 ნკემი (78) 3-1 ბარბაქაძე (88 პ).

**გააფრთხილეს:** ნადირაშვილი (13), შეყრილაძე (50), მარგალიტაძე (61), ჯიქია (65)

**მსაჯი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).



სპორტული აკადემია

№ 7 (35)
ნოემბერი
2006 წ.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა

# 1 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აკადემიური საბჭო ახალ რექტორს აირჩევს

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აკადემიურ საბჭოს

2006 წლის 18 მაისიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პროფესორი ჯემალ გუგუშვილი, ცნობილი მეცნიერი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი, ახალგაზრდა თაობის დიდებული აღმზრდელი, მოქალაქე და პიროვნება, ჩინებული მამა და მეგობარი, მაგრამ რაც მთავარია, დიდი სპორტული წარსულის მქონე სპორტსმენი და მწვრთნელი, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში სპორტის აღიარებული სპეციალისტი.

ბატონი ჯემალის ყველა ღირსებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, ის იმდენად დიდი და საინტერესო პიროვნებაა... სულ რამდენიმე თვეა, რაც ის ჩვენთანაა. თვით ამ უდიდესი ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელში ბევრი რამ გააკეთა: აუდიტორიების გარემონტება, ახალი სასწავლო ინვენტარის შეძენა, საპროფესოროს გახსნა, ახალი განყოფილებების დაარსება, ძიუდოს, კარატეს, კრივის დარბაზების შერემონტება, მძლეოსნობის ახალი დარბაზი და ა.შ.

ბატონი ჯემალის ინიციატივით აკადემიაში აღდგა ქალთა საბჭო.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ქალთა საბჭო მხარს უჭერს ბატონ ჯემალ გუგუშვილის კანდიდატურას რექტორის თანამდებობაზე. მას რექტორობის რვა წლის გამოცდილება აქვს (საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინალური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორია).

ქალთა საბჭო მოუწოდებს და სთხოვს აკადემიურ საბჭოს, მხარი დაუჭირონ ბატონ ჯემალ გუგუშვილს, ღირსეულთა შორის ღირსეულ კანდიდატურას, რექტორის თანამდებობაზე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის აკადემიის ქალთა საბჭოს სახელით
მედეა როგავა,
ლუბა ბიბილეიშვილი.

# რა მოჩანს გამოკითხვის სარკეში?

აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის მსმენელებმა ჩვენი სასწავლებლის სტუდენტებს მიმართეს თხოვნით ეპასუხათ ერთ შეკითხვაზე: „ვის ისურვებდით აკადემიის რექტორად და რატომ?“

შედეგები ასეთია: გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (79 პროცენტი) ამ თანამდებობაზე მხარს უჭერს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ ჯემალ გუგუშვილს იმ სიახლეების გამო, რაც დაინერგა მისი ხელმძღვანელობის მოკლე ხანში სასწავლებელში. უმრავლესობა იქვე მიუთითებს მის პიროვნულ, ადამიანურ ღირსებებზე. გამოკითხულთა 18 პროცენტი ამბობს, რომ მისთვის სულ ერთია ვინ იქნება რექტორი, სამმა პროცენტმა პასუხისგან თავი შეიკავა.

# შევქმნათ აკადემიის მუზეუმი



ჩვენი აკადემია საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებელთა სათვალავშია, რომლებიც არსებობის რამდენიმე ათეულ წელს მოითვლიან. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ სახელოვანი გზა განვლო. აქ უსწავლიათ მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების, სხვა მაღალი რანგის ასპარეზობების ჩემპიონებს და პრიზიორებს, აქ დაუუფლებიან სპეციალობას ასობით მასწავლებელი და მწვრთნელი, სპორტის ორგანიზატორი, ბევრ მათგანი წარმატებით ილვწოდა და დღესაც იღვწის ქვეყნის საკეთილდღეოდ. ტრადიციები გრძელდება.

დიდი დრო აღარ გვაშორებს ჩვენი სასწავლებლის 70 წლის იუბილეს. წლეულს აკადემიაში ბევრი რამ გაკეთდა და ასევე ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ცხადია, კიდევ არაერთი სიახლე დაინერგება. კარგი იქნებოდა თუ ამ კონტექსტში დაისმებოდა აკადემიის მუზეუმის შექმნის საკითხი. გვერწმუნეთ, ჩვენი სასწავლებელი და ის თაობები, ვისაც აქ უსწავლია, ვისაც უღვაწია, როგორც პედაგოგს, ამას ნამდვილად იმსახურებენ. თუ ამ საქმესაც დაედგმება თავი, ეს მართლაც ბრწყინვალე საიუბილეო საჩუქარი იქნებოდა არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც.

წარსულის დაფასებაც ხომ მადლია ერთგვარი.

რედაქცია.



# მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის წარჩინებულ სტუდენტს **ნატო გადაბაძეს**.



# აკადემიური საბჭო ბჭობს...

უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭო გუნდური მიმართულების ის ორგანოა, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, სტიმულს აძლევს განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის, ინტეგრირებული სწავლების პროგრამების შექმნას და ა.შ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აკადემიური საბჭო წარმატებით მუშაობს მის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად. საბჭოს ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს ფაკულტეტების საბჭოების სამუშაო გეგმა, შეფასება მისცეს აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა მდგომარეობას, დაამტკიცეს აკადემიაში გატარებული სტრუქტურული ცვლილებები და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგები, იმსჯელეს სახელობითი სტიპენდიანტების კანდიდატებზე და სტუდენტთა ლექცია-სემინარებზე დასწრების საკითხებზე.

# მერაბ თხელიძე

## პედაგოგი ახლო პლანით...



**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭადრაკის სპეციალობის მასწავლებელი.**

დაიბადა 1939 წლის 18 ივლისს, თბილისში. დაამთავრა №1 სკოლა ოქროს მედალზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა — მათემატიკის ფაკულტეტი — წითელ დიპლომზე. სწავლობდა ასპირანტურაში და დოქტორანტურაში.

მუშაობდა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუის უმაღლესი მათემატიკის კათედრის სალექციო ასისტენტად, იყო თსუ-ს კომპიუტერთა მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრის დოცენტი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის კათედრის დოცენტი, ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის მოდელის პროფესორი.

გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო სტატია, ოთხი მონოგრაფია, 40-ზე მეტი საგაზეთო სტატია, მათ შორის 15-ზე მეტი — ჭადრაკზე.

არის ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და მწვრთნელი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიისა და ეთიკური კომისიის თავმჯდომარე.

იყო სხვადასხვა რანგის ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი. ერთდროული თამაშების სეანსებში შეხვედრია მიხეილ ბოტვინიკს და მიხეილ ტალს. საკავშირო გუნდურ პირველობაში — ბ. სპასკის. მუშაობდა მწვრთნელად თბილისის საბავშვო საჭადრაკო სპორტსკოლაში, ხელმძღვანელობდა საჭადრაკო წრეს კომაროვის სკოლაში. 1972 — 1976 წლებში იყო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალობის უფროსი მასწავლებელი, საჭადრაკო უნივერსიტეტის მასწავლებელი, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დოცენტი, სკოლა-პანსიონ „მთიების“ ჭადრაკის მასწავლებელი. წვრთნიდა ელისო კაკაბაძეს, ინგა ხურცილავას, ვახტანგ ჩიქოვანს, ნონა დაუთაშვილს, ლალი კორომშინაძეს. კონსულტაციებს უწევდა ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას და ალა ჩაიკოვსკაიას.

1984 წელს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე რიგაში თემამ „კომპიუტერის გამოყენება საჭადრაკო დებიუტის სწავლებაში“ მ. თხელიძის ხელმძღვანელობით (სტუდენტები თამთა ძველაია, ვახტანგ ბახტაძე, ლია ბიკაშვილი) მესამე ადგილი დაიმსახურა.



აკადემიის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა სიახლე დანერგა — მოაწყო საცნობარო-საინფორმაციო სტენდი, რომელიც სისტემატურად განახლდება.

# «თეორია უპრაქტიკოდ მკვდარია»

მნიშვნელობა არ აქვს ვინ წარმოთქვა პირველად ეს სამსიტყვიანი ფრთიანი ფრაზა. მთავარია, კარგადაა ნათქვამი, ტევადად. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკის გაუვლელად შეიძლება მიანიჭონ ექიმის დიპლომი და ანდონ ავადმყოფის ბედი? უპრაქტიკოდ, არც ინჟინრები მზადდება, არც მშენებლები არც მასწავლებლები ... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, — წესია დიპლომის მინიჭებამდე პრაქტიკა უნდა გაიაროს ყველა დარგის მომავალმა სპეციალისტმა, დარგის სტაჟიანი მუშაკის ხელმძღვანელობით.

ფიზიკური აღზრდის მომავალი მასწავლებლების პრაქტიკის ადგილი ტრადიციულად სკოლაა — ფიზკულტურის გაკვეთილი. პრაქტიკანტები სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლისა და მეთოდისტის ხელმძღვანელობით ახდენენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას. ეს აუცილებელია. ასე იყო აქამდე. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვინმეს აზრად მოუვიდოდა ფიზაღზრდის მომავალი მასწავლებლების პრაქტიკის მეთოდისტის შტატის შემცირება. არ ვამბობთ, რომ ეს განზრახ გაკეთდა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრება იყო საჭირო. აგერ ჩვენი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მაღალი კურსის სტუდენტები ახლა პრაქტიკაზე არიან თბილისის სკოლებში. არიანო, პირობითად ითქმის რადგან... პრაქტიკაზე ფაქტობრივად თურმე სტუდენტთა მესამედიც არ დადის. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ რაკი პრაქტიკანტებთან მეთოდისტები აღარ მუშაობენ, მოიშალა კონტროლი და პასუხისმგებლობა.

სად არის გამოსავალი? სპეციალისტები ფიქრობენ, რომ გამოსავალი არ არსებობს. კანონის მოთხოვნას წინ ვერავინ აღუდგება. არც სტუდენტთა სწავლის ხარჯის გაზრდა შეიძლება... მოკლედ, უნდა შევეგუოთ და როგორმე უნდა მივაღწიოთ, რომ სტუდენტმა იაროს პრაქტიკაზე და უმეთოდისტოდ დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, დასჯერდეს მხოლოდ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის მიერ მოწოდებულ ცოდნას.

კარგით, შევთანხმდეთ, რომ გასაგებია ყველაფერი და აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ მიზეზთა და გამოსავლის ძიებაში ერთ კურიოზულ ფაქტს გადავაწყდით, რაც არ შეიძლება სამსჯავროზე არ გამოვიტანოთ. ვიმეორებთ, მეთოდისტს აღარ აფინანსებენ, ანუ შტატი გაუქმდა. მაგრამ გვინდა ვიკითხოთ, რა შუაშია სკოლის დირექტორი, რომელიც თურმე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლისგან განსხვავებით, არაფრისთვის იღებს „გასამრჯელოს“?! აი ასე, ხელფასს და სტუდენტების სკოლაში პრაქტიკის გავლისთვის იღებს მასწავლებელი და სკოლის დირექტორი. იქნებ დირექტორის უსაქმობისთვის გაღებული ის თანხა საქმიანი მეთოდისტისთვის ჩაესვათ, განა ასე არ აჯობებდა? მაგრამ, მაშინ დირექტორი პრაქტიკაზე სტუდენტებს არ შეუშვებსო, — ამბობენ.

ესეც მეორე პარადოქსი და კიდევ რა ჰქვია ამას, ყველამ კარგად იცის.

რედაქცია.

# არადა, გინესის მომავალი რეკორდსმენი ჩვენს გვერდითაა...

გინესის წიგნი უამრავ უცნაურ რეკორდს მოითვლის. განსაკუთრებული ნიჭის ადამიანები საქართველოში მრავლად არიან და რამდენიმე მათგანი უკვე არაერთგზის მოხვდა გინესის წიგნში. მომავალი რეკორდსმენი კი ჩვენს აკადემიაშიცაა — დაცვის სამსახურის თანამშრომელი 54 წლის გიორგი ვაშაყმაძე.

მისი ფენომენალურობა იმაშია, რომ შეუძლია ყოველდღე ფეხით გაიაროს 40-50 კილომეტრი, ერთი წუთის განმავლობაში შეუსვენებლად 250-ჯერ ახტეს, ერთი საათის განმავლობაში 12 500-ჯერ, ხოლო ოთხი საათის განმავლობაში 50000-ჯერ. უკუსვლით საათობით იაროს. ხელების ერთიმეორეზე დარტყმით ნებისმიერი სიმაგრის კაკალი გატეხოს. 17 სართულის 374 საფეხური 2 წუთსა და 15 წამში აირბინოს.

ბატონმა გიორგიმ თავისი უცნაური ნიჭის შესახებ რამდენიმე წლის წინათ გაიგო, როცა მას ხერხემლის მალები ამოუვარდა და ექიმმა განკურნებისათვის ვარჯიშები დაუნიშნა — რბენები, ბუქნები, აზიდვები და ა.შ. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ იმაზე მეტი ფიზიკური შესაძლებლობები გააჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანებს აქვთ.

2001 წელს ნიუ-იორკში ავსტრალიელმა კლარკმა 102 სართულის 1578 საფეხური 9 წუთსა და 56 წამში აირბინა. ეს რეკორდი მას შემდეგ არ გაუმჯობესებულა. გიორგი ვაშაყმაძე ამბობს, რომ 1578 საფეხურის არბენა წარმატებით შეუძლია და ავსტრალიელის რეკორდის გაუმჯობესება თუ არა, დარწმუნებულია თავის ასაკში საუკეთესო შედეგს აჩვენებს. ნიუ-იორკში ყოველწლიურად ტარდება ასეთი ტიპის შეჯიბრებები, მაგრამ იქ მოხვედრის ოცნება აუსრულებელი რჩება. ამერიკის საელჩო შტატებში წასვლის საშუალებას არ აძლევს. ვიზების გაცემის საკითხი გართულებულია. არადა, წასვლას საკუთარი ხარჯებით აპირებს. დასანანია, რომ ჩვენს თანამემამულეს ჯერჯერობით თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება არ ეძლევა.

**თიკა ასლანიშვილი.**
**სტუდენტი**

# გამოიცა სახელმძღვანელო




**ქართული ფსიქოლოგიის სკოლის ტრადიციების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებულმა პროფესორმა გივი დვალმა ამ სფეროს, ახლახან კიდევ ერთი ნაშრომი შეძინა. ესაა წიგნი „სპორტის ფსიქოლოგიური საფუძვლები“. თვით დასახელება მკაფიოდ მიგვანიშნებს თუ რასთან გვაქვს საქმე. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში წერს: „წიგნი სარგებლობას მოუტანს სპორტის აკადემიის სტუდენტებს, მაგისტრებსა და ასპირანტებს, მწვრთნელებს, სპორტულ ჟურნალისტებს და სპორტის ფსიქოლოგიით დაინტერესებულ პირებს“.**

**საინტერესოა ზემოხსენებულ გამოცემაზე აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის აზრი. აი რას წერს იგი ამავე წიგნში შესულ რეცენზიაში: „გივი დვალის შრომა, „სპორტის ფსიქოლოგიური საფუძვლები“, წარმოადგენს მრავალასპექტიან სერიოზულ გამოკვლევას, რომელშიაც განხილულია სპორტსმენის მომზადებისა და საერთოდ, სპორტის მეცნიერული პრობლემები. შრომაში კარგად არის ნაჩვენები, რომ შეჯიბრებისათვის სპორტსმენის სრულყოფილი მომზადება, მისი პიროვნების მრავალი მხარის გათვალისწინებას გულისხმობს. სპორტსმენის მაღალი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარდეს ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, თეორიული და ფსიქოლოგიური ასპექტების სრულყოფისათვის... აღნიშნული წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს სპორტულ მწვრთნელებს დასახული ამოცანის შესრულების პროცესში“.**

**ვფიქრობთ, მოტანილი ციტირებით ყველაფერია ნათქვამი. წიგნში შესულია აგრეთვე პროფესორების მამია ყოლბაიას და ლუბა ბიბილეიშვილის რეცენზიები. პროფესორები მაღალ შეფასებას აძლევენ გივი დვალის ამ ახალ გამოცემას.**

**თანადგომისა და წიგნის გამოცემაში ხელშეწყობისთვის ავტორი მადლობას უხდის ოლიმპიურ ჩემპიონს ლერი ხაბელოვს.**

# იცით თუ არა, რომ...

◆ 1930 წლის შემოდგომაზე ქ. ბაქოში დაარსდა ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც პირველი იყო ამიერკავკასიაში. ინსტიტუტში სწავლა მიმდინარეობდა რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

◆ **იმავე 1930 წელს თბილისის პირველ პედაგოგიურ ტექნიკუმთან გაიხსნა ფიზკულტურული განყოფილება.**

◆ 1931 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტი.

◆ **1933 წელს თბილისში გაიხსნა ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მოსამზადებლად.**

◆ 1935 წელს თბილისის ახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა ფიზკულტურის ფაკულტეტი, რომლის ბაზაზე 1938 წელს აღმოცენდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი.

◆ **1934 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტთან დაარსდა ფიზიკური კულტურის კათედრა.**

◆ 1935 წელს თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ხაშურში, მახარაძესა და ალბულაღში (თეთრიწყარო) მოეწყო სპეციალური კურსები, სადაც მომზადდა 300-მდე ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

## შეკითხვა რედაქციას

### რა არის კოლოკვიუმი?

**კოლოკვიუმი (Collоguium) ლათინური სიტყვაა და ასეა განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში: 1. გამოცდის სახეობა ერთგვარი — მასწავლებლის გასაუბრება სტუდენტებთან. 2. კრება, სადაც ისმენენ და განიხილავენ სამეცნიერო მოხსენებებს.**

# „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“







თბილისი — მცხეთა — არმაზი — ზედა ციხე — თბილისი — ასეთი იყო აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტთა რიგით მეორე ტურისტული ლაშქრობა — გამსვლელი სემინარის მარშრუტი, რომელიც გასულ კვირას, 29 ოქტომბერს გავიარეთ სტუდენტებმა. იმ დილით ისტორიულ არმაზში პირველები ჩვენ ჩავედით, მერე ხევში ბავშვების ჟრიამული შემოგვესმა და მალე ისინიც, გუნდად „შემოფრინდნენ“ ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში. ისინი თბილისის 138-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ მასწავლებლებთან ერთად. ბავშვები მალე წავიდნენ ციხის ნანგრევების მოსანახულებლად. ჩვენ კი ბუნების წიაღში, ისტორიულ კერაზე ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ქვის ტყორცნაში და მხიარულ თამაშებში. ლიკა დარჩიამ პირველსავე ცდაზე დაამყარა იმ დღის რეკორდი ქვის ტყორცნაში, მეორე ადგილზე, გავიდა ნატო გაბადაძე, მესამეზე — თამუნა ბიჩინაშვილი. გოგონებისგან განსხვავებით, მე უკონკურსოდ დავიკავე პირველი ადგილი. მერე ჩვენც ციხისკენ გავეშურეთ. იქიდან დაბრუნებულები ხეობაში იმ ადგილზე შევიკრიბეთ ჩვენც და მოსწავლეებიც, სადაც თბილისის 24-ე საჯარო სკოლის (დირექტორი გია მურღულია) უფროსკლასელების ბანაკი ჰქონდათ დაცემული. სკოლის სპორტკლუბის ხელმძღვანელს კახა ყავლაშვილს მოსწავლეები ღამისთევით ჩაეყვანა არმაზის ხეობაში. აი აქ კი ერთად გაგრძელდა სამივე ჯგუფის მხიარულება. კარვებში ღამენათევმა ჯგუფმა კოცონიც დაგვახვედრა, ურომლისოდ ტურისტული ლაშქრობა წარმოუდგენელია.

ჯგუფები გულთბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს იმ იმედით, რომ მომავალში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს დედაბუნების ტურისტულ ბილიკებზე.

**მიხეილ ილოშვილი,**
სტუდენტი, ლაშქრობის მონაწილე.



## წარჩინებულნი

# ირაკლი თოთრაშვილი

აკადემიის სტუდენტთა შორის ბევრია წარჩინებული სტუდენტი და არა მხოლოდ სწავლაში. ერთი მათგანია მწვრთნელთა ფაკულტეტის III კურსიის სტუდენტი, 19 წლის ირაკლი თოთრაშვილი.

ირაკლი პატარაობიდან, თბილისის 160-ე სკოლაში სწავლის პერიოდიდან ვარჯიშობს ტაეკვონდოში. არის საქართველოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, „კავკასიის თასის“ გათამაშების მესამე



პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და მრავალგზის პრიზიორი. 2002 წელს ფედერაციამ დაასახელა წლის საუკეთესო სპორტსმენად. ამჟამად გამოდის 72 კგ. წონით კატეგორიაში. არის აკადემიის სტიპენდიანტი.

ირაკლიმ წლეულს საგარეჯოში პატრიოტულ ბანაკში ყოფნის დროსაც გამოიჩინა თავი. მიზანსწრაფული, ზრდილი, თავაზიანი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არც ბანაკში დარჩენილა. იქვე მიიღო სამთავრობო დაცვის სამსახურში მომავალში დასაქმების წინადადება.

მწვრთნელ დავით ბაბუაძის შეგირდი, ახლა თავადაც ავარჯიშებს მოზარდებს.

„აღმოსავლური ორთაბრძოლები ჩემი გატაცებაა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ტაეკვონდოში როგორც საქართველოს ნაკრების წევრმა, ახალი წარმატებები მოვუტანო ჩემს ქვეყანას სპორტის ამ ოლიმპიურ სახეობაში. რაღა თქმა უნდა, ჩემ გამოცდილებას, როგორც მწვრთნელი, უშურველად გადავცემ მოსწავლეებს“ — ამბობს ირაკლი.

## მწვრთნელთა ფაკულტეტის საბჭო დღეს იკრიბება

**დღეს, 31 ოქტომბერს 14 საათზე, აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება მწვრთნელთა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. განიხილება „ლექცია სემინარებზე სტუდენტთა დასწრებისა და დავალიანების მდგომარეობის“, „I-II კურსის კრედიტების მიღების“, „მესამე კურსის საკრედიტო სისტემაზე გადასვლის“, „მეოთხე კურსელთა პრაქტიკის მიმდინარეობის“, „სპეციალიზაციისა და აკადემიურ მეცადინეობებზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის“ საკითხები.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მილანური დერბი „ინტერმა“ მოიგო

**გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.**

**ინგლისის პრემიერლიგის** მე-10 ტურში იმარჯვეს ლიდერებმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ჩელსიმ“.

„ჩელსიმ“: როგორც მოსალოდნელი იყო, დაგეგმილი 3 ქულა აიღო სტუმრად „შეფილდთან“ შეხვედრაში — 2-0. ანგარიში 43-ე წუთზე ლემპარდმა გახსნა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ბალაკმა გამოიჩინა თავი.

**„ჩელსი“:** ჰილარიუ, ბრიჯი, ფერეირა, კარვალიუ, ტერი, ბალაკი, ჯ. კოული (რაიტ.ფილიპსი, 67), ესიენი, ლემპარდი, დროგბა (კალუ, 46), რობენი (მაკელელე, 83).

ვერ იმარჯვა ლონდონის „არსენალმა“, რომელიც საკუთარ მოედანზე ფრეს დასჯერდა „ევერტონთან“ შეხვედრაში — 1-1.

მე-11 წუთზე კეხილმა დააწინაურა „ევერტონი“ და მხოლოდ მეორე ტაიმში ვან პერსიმ წონასწორობა აღადგინა.

**„არსენალი“:** ლემანი, ჯურუ (ჰოლკოტი, 67), გალასი, ჰოიტი (ფლამინი, 39), კოლო ტურე, ჟილბერტი, სილვა, ფაბრეგასი, გლები (ალიადიერი, 79), როსიცკი, ანრი, ვან პერსი.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად 4-0 გაანადგურა „ბოლტონი“, გამარჯვებულთაგან 3 ბურთი რუნიმ გაიტანა, ერთხელ თავი გამოიჩინა კრისტიან რონალდომ.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“:** ვან დერ სარი, ევრა (ჰაინცე, 61), ფერდინანდი, ნევილი, ვადიჩი, კარიკი, გიგზი (ფლეტჩერი, 83), რონალდო, სქოულზი, რუნი, საა (ოში, 82).

„ლივერპულმა“ 3-1 სძლია „ასტონ ვილას“. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს კეიტმა, კრაუჩმა და ლუის გარსიამ.

**„ლივერპული“:** რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიუიპია, რიისე, ხაბი ალონსო, ჯერარდი (ფაულერი, 81), ლუის გარსია (ზენდენი, 77), სისოკო, კრაუჩი (ბენ-ნტი, 75), კეიტი. **სხვა შეხვედრები.** „ვესტ ჰემი“ — „ბლექბერნი“ 2-1, „ფულემი“ — „უიგანი“ 0-1, „ნიუკასლი“ — „ჩარლტონი“ 0-0, „პორტსმუთი“ — „რედინგი“ 3-1, „უოტფორდი“ — „ტოტენჰემი“ 0-0.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტ.იუნ“ | 10 | 8 | 1 | 1 | 23-5 | 25 |
| „ჩელსი“ | 10 | 8 | 1 | 1 | 17-5 | 25 |
| „ბოლტონი“ | 10 | 6 | 2 | 2 | 10-8 | 20 |
| „პორტსმუთი“ | 10 | 6 | 1 | 3 | 16-6 | 19 |
| „არსენალი“ | 9 | 5 | 3 | 1 | 16-5 | 18 |

**გერმანიის ბუნდესლიგის** მე-9 ტურში ლევან კობიაშვილის „შალკე“ სტუმრად 0-3 დამარცხდა „შტუტგარტთან“. სტუმართა კარში ორი ბურთი კხედირამ გაიტანა, ერთი — ტასკიმ.

**„შალკეს“ შემადგენლობა:** როსტი, როდრიგესი, კრსტაიჩი, რაფინია, ბორდონი, ბენიში (კურანი, 58), ვალერა, ჰამით ალთინთოფი (ბაუმეჰანი, 64), ბარამოვიჩი, ლევენკრანსი, ჰალილ ალთინთოფი.

„მიუნხენის „ბაიერნმა“ „აინტრახტი“ დაამარცხა 2-0. ბურთები გაიტანეს მაკაიმ და ვან ბომელმა.

**„ბაიერნი“:** კანი, ლამი (სალიჰამიჯიჩი, 63), სანიოლი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ოტლი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, მაკაი, პისარო (მაიერჰოფერი, 88), სანტა კრუსი (კარიმი, 75).

ბრემენის „ვერდერმა“ სტუმრად 6-1 გაანადგურა „მაინცი“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კლოზემ (2), ჰუნტმა (2), ნალდომ და დიეგომ.

**სხვა შეხვედრები:** „არმინია“ — „ალემანია“ 5-1, „ჰამბურგი “ — „ჰანოვერი 0-0, „ნიურნბერგი“ — „დორტმუნდი“ 1-1, „მიონხენგლადბახი“ — „ლევერკუზენი“ 0-1, „კოტბუსი“ — „ჰერტა“ 2-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 9 | 6 | 1 | 2 | 27-11 | 19 |
| „ბაიერნი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 14-10 | 16 |
| „შალკე“ | 9 | 5 | 1 | 3 | 11-11 | 16 |
| „შტუტგარტი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 17-14 | 15 |
| „არმინია“ | 9 | 4 | 2 | 3 | 16-11 | 14 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მე-8 ტურში „ბარსელონას“ არ გასჭირვებია „უელვას“ დამარცხება — 3-0. რონალდინიომ ორჯერ გამოიჩინა თავი, ერთი ბურთი კი ხავიმ გაიტანა.

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, სილვინიო, დეკუ (ინიესტა, 68), ედმილსონი, ჟიული, ხავი, რონალდინიო (ესკერო, 81), გუდიონსენი (სავიოლა, 62).

მადრიდის „რეალმა“ 3-1 მოუგო სტუმრად „ხიმნასტიკს“, თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ ვენდრელის მიერ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანის წყალობით. პირველივე ტაიმის მიწურულს რობერტო კარლოსმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევარში ელგერამ და რობინიომ ორი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

**„რეალი“:** კასილიასი, კანავარო, რობერტო კარლოსი, ელგერა, სერხიო, რამოსი, დიარა, ემერსონი, გუტი (რილესი, 73), რობინიო, რაული, ვან ნისტელროი.

**სხვა შეხვედრები:** „რასინგი“ — „ვალენსია“ 1-0, „ოსასუნა“ — „ბილბაო“ 1-1, „ლევანტე“ — „ესპანიოლი“ 0-0. „ხეტაფე“ — „დეპორტივო“ 2-0, „სოსიედადი“ — „ვილიარეალი“ 0-1, „სელტა“ — „სევილია“ 1-2, „ბეტისი“ — „მალიორკა“ 0-1, „ატლეტიკო“ — „სარაგოსა“ 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 8 | 6 | 1 | 1 | 19-17 | 19 |
| „სევილია“ | 8 | 6 | 0 | 2 | 13-10 | 18 |
| „რეალი“ | 8 | 5 | 2 | 1 | 13-4 | 17 |
| „სარაგოსა“ | 8 | 5 | 1 | 2 | 17-10 | 16 |
| „ვალენსია“ | 8 | 5 | 1 | 2 | 13-6 | 16 |



**იტალიის სერია „ა“-ს** მე-9 ტურში მილანური დერბი გაიმართა. კახი კალაძის „მილანი“ 47-ე წუთისათვის 0-3 აგებდა „ინტერთან“. შემდეგ ზეედორფმა გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი. მას მატერაცის მეოთხე ბურთი მოჰყვა. ეს ფეხბურთელი 69-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს და „ინტერი“ 10 კაცის შემადგენლობით დარჩა მოედანზე. დარჩენილ 20 წუთში „მილანმა“ მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხა — „ინტერმა“ 4-3 მოიგო.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„მილანი“:** დიდა, კაფუ, ნესტა, კალაძე, იანკოლოვსკი (მალდინი, 46), გატუზო, პირლო, ამბროზინი (ოლივეირა, 46), კაკა, ზეედორფი, ინძაგი (ჯილარდინო, 46).

**„ინტერი“:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსი (ბურდისო, 60), ვიეირა, დაკური (ფიგუ, 60), სანეტი, სტანკოვიჩი, კრესპო, იბრაჰიმოვიჩი (სამუელი, 83).

„ფიორენტინა“ საკუთარ მოედანზე 2-3 დამარცხდა „პალერმოსთან“. ხოლო „რომამ“ სტუმრად მოუგო „უდინეზეს“ 1-0. **სხვა შეხვედრები:** „ლივორნო“ — „ემპოლი“ 0-0, „პარმა“ — „ატალანტა“ 3-1, „მესინა“ — „კიევო“ 2-1, „ლაციო“ — „რეჯინა“ 0-0, „კატანია“ — „ტორინო“ 1-1, „კალიარი“ — „სამპდორია“ 1-0, „ასკოლი“ — „სიენა“ 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 9 | 6 | 3 | 0 | 20-12 | 21 |
| „პალერმო“ | 9 | 7 | 0 | 2 | 21-15 | 21 |
| „რომა“ | 9 | 5 | 2 | 2 | 14-6 | 17 |
| „სიენა“ | 9 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 16 |
| „უდინეზე“ | 9 | 3 | 4 | 2 | 10-6 | 13 |

**გაგაცნობთ საფრანგეთის ჩემპიონატის მე-11 ტურის შედეგებს:** „ნიცა“ — „მარსელი“ 2-1, „ლიონი“ — „ნანსი“ 1-0, „ნანტი“ — „მონაკო“ 0-1, „ბორდო“ — „სედანი“ 3-1, „ლე მანი“ — „ლილი“ 1-1, პსჟ — „რენი“ 1-0, „ლორიანი“ — „ვალენსენი“ 1-0, „ტულუზა“ — „სოში“ 1-2, „ტრუა“ — „სტ. ეტიენი“ 3-1, „ლანსი“ — „ოსერი“ 1-0.

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 11 | 10 | 1 | 0 | 27-8 | 31 |
| „მარსელი“ | 11 | 6 | 2 | 3 | 19-11 | 20 |
| „ნანსი“ | 11 | 5 | 4 | 2 | 10-6 | 19 |
| „ლილი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 16-12 | 18 |
| „ლანსი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 18 |



## ჩემპიონთა ლიგა

**დღეს და ხვალ გაიმართება უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის შეხვედრები. გაგაცნობთ შეხვედრათა განრიგს „ინტერვეტენის“ კოეფიციენტებთან ერთად.**

| 31 ოქტომბერი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ — „ინტერი“ | 3,80 | 3,20 | 1,85 |
| „შახტარი“ — „ვალენსია“ | 3,30 | 3,20 | 2,00 |
| „რომა“ — „ოლიმპიაკოსი“ | 1,35 | 4,20 | 7,50 |
| პსვ — „გალათასარაი“ | 1,50 | 3,80 | 5,50 |
| „ლივერპული“ — „ბორდო“ | 1,40 | 3,70 | 7,50 |
| „ბაიერნი“ — „სპორტინგი“ | 1,35 | 4,20 | 7,50 |
| „ბარსელონა“ — „ჩელსი“ | 2,00 | 3,10 | 3,40 |
| **1 ნოემბერი** | | | |
| აეკ — „ლილი“ | 2,50 | 3,00 | 2,70 |
| „მილანი“ — „ანდერლეხტი“ | 1,15 | 6,00 | 13,00 |
| „ჰამბურგი“ — „პორტუ“ | 2,25 | 3,10 | 2,90 |
| „კოპენჰაგენი“ — „მანჩესტერი“ | 5,50 | 3,80 | 1,50 |
| „ბენფიკა“ — „სელტიკი“ | 1,80 | 3,20 | 4,00 |
| „რეალი“ — „სტიაუა“ | 1,15 | 6,00 | 13,00 |
| „ლიონი“ — „დინამო“ (კ) | 1,20 | 5,20 | 11,00 |

## „ბებერ ქალბატონს“ შანსი მისცეს

**იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური მაქინაციების გამო სერია „ბ“-ში გადასროლილ „იუვენტუსს“ შეუმცირდეს ადრე მისჯილი „მინუსი“ — შეგახსენებთ, რომ სერია „ბ“-ში „ბებერმა ქალბატონმა“ ასპარეზობა მინუს 30 ქულით დაიწყო.**

**საარბიტრაჟო ჯგუფის გადაწყვეტილებამ „იუვენტუსს“ სერია „ა“-ში დაბრუნების შანსი გაუჩინა. ახლა ეს გუნდი მე-12 ადგილზეა და სულ 10 ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს — „ჯენოას“.**

**სხვათა შორის, საარბიტრაჟო ჯგუფმა „მილანის“ საკითხიც განიხილა, მაგრამ ამ გუნდს არანაირი შეღავათი არ მისცა.**

## დიეგოს მხიარული «სიზმრები»

### ანუ პელეს მაისურიდან დაწყებული კარიერა



ბრემენის „ვერდერის“ ახალგაზრდა, ბრაზილიელ ფეხბურთელს დიეგო რიბას და კუნიას (ანუ, როგორც ეძახიან — დიეგოს) სჯერა, რომ ბრაზილიის ნაკრები მომავალში მსოფლიოს ჩემპიონის მეექვსე ტიტულს მოიპოვებს და ის იმ გუნდის შემადგენლობაში აუცილებლად იქნება. ის. კი არა, დიეგოს „ესიზმრება“, რომ ბრაზილიის ნაკრებს ჩემპიონობას მის მიერ გატანილი ბურთი მოუტანს.

21 წლის დიეგოს თამაშს თუ ნახავთ, იფიქრებთ, რომ ამ ყმაწვილს თავისი ფანტაზიების რეალურად გადაქცევა მომავალში შეეძლება. დიეგოს შესანიშნავი ტექნიკა აქვს, კარგად და ზუსტად ურტყამს ბურთს. შეუძლია მოულოდნელად გადაწყვიტოს მატჩის ბედი...

12 წლის იყო, როცა დიეგო ბრაზილიური „სანტოსის“ აკადემიაში მივიდა. მალე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ოთხი წლის შემდეგ ათნომრიანი მაისური მოირგო (პელეც ხომ ათი ნომრით თამაშობდა) და „სანტოსის“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. სახელი მალე გაითქვა — 2002 წელს „სანტოსს“ ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. აი, როგორ აფასებდა „სანტოსის“ მთავარი მწვრთნელი ლაეო შეგირდის თამაშს: „ფენომენალური ფეხბურთელია, ის ზიკოსავით დირიჟორობს გუნდის შეტევებს“.

2004 წელს დიეგო „პორტუში“ გადავიდა სათამაშოდ. პორტუგალიელთა თავკაცი ვიქტორ ფერნანდესი ახალ ფეხბურთელში „ბარსელონაში“ გადასული დეკუს შემცვლელს ხედავდა...

„დეკუს მადარებდნენ. ის დიდი ფეხბურთელია, ბევრს მიაღწია, რაზედაც ახლა ოცნება თუ შემიძლია, მინდა იგივე მეც გავაკეთო, ოღონდ, ჩემებურად“, — ამბობდა დიეგო ორი წლის წინათ. „პორტუში“ დიეგო შესანიშნავად თამაშობდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 2005 წელი, როცა „პორტუ“ ლონდონის „ჩელსისთან“ ერთად ერთ ჯგუფში მოხვდა.

„გოლი, რომლის წყალობით „ჩელსისთან“ გამარჯვების მოპოვება შევძელით, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო. ამ გოლმა მაყურებელთა სიმპათიები „მომიტანა“, სიმღერაც კი მომიძღვნეს“, — იხსენებს დიეგო.

ამის შემდეგ დიეგომ შედეგიანობას უკლო და „პორტუს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა. ეს მაშინ მოხდა, როცა მწვრთნელის პოსტზე ფერნანდესი კო-ანდრიანსემ შეცვალა...

დიეგო მიხვდა, რომ საკუთარ თავზე ბევრი უნდა ემუშავა, რათა ვარსკვლავი გამხდარიყო. იმდენი მოახერხა, რომ ბრემენის „ვერდერის“ სკაუტების ყურადღება მიიპყრო. გერმანელებმა გარისკეს და დიეგოში ექვსი მილიონი ევრო გადაიხადეს. მოგვიანებით მიხვდნენ, რომ უაღრესად სწორი ნაბიჯი გადადგეს. „ვერდერის“ შემადგენლობაში თავის სადებიუტო შეხვედრაში დიეგომ ერთი ბურთი გაიტანა და ორი შედეგიანი გადაცემა შეასრულა . საბოლოოდ, „ვერდერმა“ „ჰანოვერს“ 4-2 სძლია.

ბულგარული „ლევსკის“ კარში გატანილმა დიეგოს გოლმა კი „ვერდერის“ გულშემატკივრები დაარწმუნა, რომ მათი საყვარელი გუნდი აუცილებლად გავა უეფას ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფში.

დიეგოს კიდევ ერთმა გოლმა „ბრემენელ მუსიკოსებს“ საშუალება მისცა, დაემარცხებინათ მიუნხენის „ბაიერნი“ და სატურნირო ცხრილს ჩასდგომოდნენ სათავეში.

ასეთი წარმატების ფონზე გერმანელი ჟურნალისტები დიეგოს აღარ ადარებენ დეკუს. ბრაზილიელის სახელზე ყველას ახსენდება დიდი „დიეგო“ — მარადონა.

## ბალაკმა სისწრაფე აკრიფა...

ბოლო პერიოდში ლონდონის „ჩელსის“ რიგებში ყურადღებას იპყრობს გერმანიის ნაკრების კაპიტნის მიხაელ ბალაკის კარგი თამაში. ის მალე შეეთვისა გუნდს, თუმცა, თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მომავალში კიდევ უფრო კარგად ივასპარეზებს და უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს „ჩელსის“.

„ყოველ თამაშში ვცდილობ გამოვავლინო შესაძლებლობების მაქსიმუმი. არ არის აუცილებელი, ბევრი ბურთი გავიტანო და მოედანზე საუკეთესო ვიყო. მთავარია, რომ გუნდი უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ იგი. ამ სეზონში კარგი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ და მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიოთ“ — ამბობს მიხაელ ბალაკი. ლონდონელთა კლუბის თავკაცი ჟოზე მოურინიო თავის შეგირდებს ყოველთვის მაღალ მიზნებს უსახავს და ბალაკსაც სიამოვნებს ენერგიულ პორტუგალიელ სპეციალისტთან მუშაობა.

„მოურინიო ახალგაზრდა, ძლიერი ნებისყოფის მქონე მწვრთნელია, რომელსაც გუნდზე დიდი გავლენა აქვს. მან თავის დროზე უეფას ჩემპიონთა ლიგა და თასი მოიგო და ამიტომაც აქვს საკუთარი ძალების რწმენა“ — ეს სიტყვებიც მიხაელ ბალაკს ეკუთვნის.



„ჩელსიმ“ წლევანდელი სეზონი მართლაც რომ წარმატებით დაიწყო, ინგლისის პრემიერლიგაში რომან აბრამოვიჩის გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ლიდერობს, ხოლო უეფას ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფში პირველ ადგილზეა და ეს „ბარსელონასთან“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვების წყალობით მოხდა. თვით ბალაკმაც აღნიშნა: „ბარსელონასთან“ გამარჯვების მოპოვებამ საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დაგვარწმუნა. მართლაც რომ შესანიშნავად ვითამაშეთ! საერთოდ, სეზონში შეიძლება ჩაატარო ორი ან სამი უმაღლესი დონის მატჩი და „ბარსელონასთან“ პაექრობაც ასეთი რანგის შეხვედრად შეიძლება ჩაითვალოს.“

მიხაელ ბალაკის მთავარი ოცნება უეფას ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა. ასეთი პრესტიჟული ტურნირის ფინალში ბალაკი 2002 წელს „ლევერკუზენთან“ ერთად გავიდა, მაგრამ ზინედინ ზიდანის ერთმა ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება და თასი მადრიდის „რეალს“ მოუტანა.

„ძალიან მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. იქამდე მთელი სეზონია და მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ“.

# მსოფლიოს ექსჩემპიონი მოკლეს



პროფესიონალურ კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, სუპერმძიმეწონოსანი ტრევორ ბერბიკი იამაიკაში ნაჯახით მოკლეს.

ბერბიკი იყო უკანასკნელი მოკრივე, რომელმაც 1981 წელს დაამარცხა ლეგენდარული მუჰამედ ალი. 1986 წელს ბერბიკი ვბც-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაგრამ იმავე წელს ტიტული მაიკ ტაისონთან ბრძოლაში დათმო.

საერთოდ, ტრევორ ბერბიკის პროფესიონალური კარიერა 1976 — 2000 წლებს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში მან 62 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგან 50 მოიგო (33 ნოკაუტით).

1991 წელს ბერბიკს მისმა ყოფილმა მენეჯერმა უჩივლა. ეს უკანასკნელი უმტკიცებდა, რომ მას მოკრივე იარაღით მოკვლით დაემუქრა და დააყაჩაღა. მომდევნო წელს ბერბიკი დააპატიმრეს და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ციხეში მოკრივემ 15 თვე გაატარა, რის შემდეგაც აშშ-დან გააძევეს, ცოტა ხანში კანადაში ცხოვრობდა, შემდეგ კვლავ დაბრუნდა შეერთებულ შტატებში... ხელმეორედ დაატოვებინეს ქვეყანა. 2002 წლიდან ბერბიკი უკვე მუდმივად ცხოვრობდა იამაიკაში.



51 წლის ტრევორს თავს დაესხნენ დაბა ნორვიჩში. დაჭრილი ბერბიკი საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ უშველეს.



# 7 მილიონი ბილეთი გაიყიდება

**2008 წლის ოლიმპიურ თამაშებში, რომელსაც პეკინი უმასპინძლებს, სულ 7 მილიონზე მეტი ბილეთი გაიყიდება. ამ მხრივ მოიხსნება წინა რეკორდი, 2004 წელს ათენში რომ დამყარდა.**

**ბილეთების 70 პროცენტი ჩინეთში გაიყიდება, ხოლო დანარჩენს საზღვარგარეთ გაგზავნიან. „პეკინის ოლიმპიურ ობიექტებზე გულშემატკივრებისათვის უფრო მეტი ადგილია გათვალისწინებული, ვიდრე ეს ათენის სტადიონებზე იყო" — ამბობს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი ჟუნ ცზიუნი. შეგახსენებთ, რომ ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე სულ 5,3 მილიონი ბილეთი გაიყიდა.**

**2008 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნა პეკინის ეროვნულ სტადიონზე მოხდება, რომელიც 91 ათას მაყურებელს იტევს. 60 ათასი ბილეთი თავისუფალ გაყიდვაში გავა.**

**დასასრულ, როგორც საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, ბილეთების გაყიდვა 2007 წლიდან დაიწყება.**

# „ფერარის" მაინც სჭირდება მიხაელ შუმახერი



„ფორმულა 1"-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რომელმაც ახლახან დაასრულა პილოტის კარიერა, შეიძლება „ფერარის" ხელმძღვანელის ჟან ტოდტის თანაშემწე გახდეს.

„ჩვენთვის ძვირფასია მიხაელის ცოდნა და გამოცდილება. ის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მიიღებს მონაწილეობას", — განაცხადა ტოდტმა.

მიხაელ შუმახერი აღტაცებულია „ფერარის" წინადადებით, თუმცა, იქნება თუ არა ამ გუნდში, თავად გადაწყვეტს დეკემბერში.




# არაბმა შეიხმა შუმახერს კუნძული აჩუქა

**„ფორმულა 1"-დან წასვლის შემდეგ პილოტმა მიხაელ შუმახერმა უამრავი საჩუქარი მიიღო.**

**ყველაზე ძვირფასი რამ დუბაის შეიხმა მოჰამად ბინ რაშიდ ალ მაკტუნამ გადასცა — ეს არის დუბაის ახლოს მდებარე პატარა კუნძული. იქ „შუმი" დაისვენებს ხოლმე.**

**თურმე დუბაის შეიხი სულ 300 პატარა კუნძულს ფლობს. კუნძული, რომელიც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს გადასცა, 4,5 მილიონი ევროს ღირებულებისაა.**

**„ფერარის" ხელმძღვანელობისაგან მიხაელმა საჩუქრად მიიღო ბოლო მარკის ბოლიდი — „ფერარი 248 ფ1".**

# ბომბი დევსო... და მატჩი შეწყდა

შვედეთის პოლიციამ შაბათს შეაჩერა ჰოკეიში ეროვნული ჩემპიონატის მატჩი „ფერიესტადსა" და „მოდოს" შორის. ასეთი ნაბიჯი სამართალდამცავებმა მას შემდეგ გადადგეს, რაც ტელეფონით მიიღეს შეტყობინება ჰოკეის დარბაზში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ. იმ მომენტში იქ რვა ათასზე მეტი მაყურებელი იმყოფებოდა, რომელთაც დარბაზი მალე დაატოვებინეს. კარგა ხნის ძიების მიუხედავად საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. უცნობია, მისცემენ თუ არა გუნდებს მატჩის დასრულების საშუალებას. შეხვედრა რომ შეწყდა „მოდო" 2-0 იგებდა.



# ახდება შარაპოვას ოცნება?

**რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ ლინცში ვტა-ს ტურნირი მოიგო. ამ გამარჯვებამ იგი ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში მეორე საფეხურზე გადაიყვანა. წინ მხოლოდ ფრანგი ამელი მორესმოა. ასე რომ, შარაპოვამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა თავისი ოცნების რეალობად ქცევის გზაზე. — მას უნდა, რომ წლევანდელი საჩოგბურთო სეზონი ნომერ პირველი ჩოგნის ტიტულით დაასრულოს. ამას რომ მიაღწიოს შარაპოვამ, უნდა მოიგოს მადრიდის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 6 ნოემბერს იწყება. ლინცის ტურნირს რაც შეეხება, ფინალში შარაპოვას მეტოქე იყო თანამემამულე ნადეჟდა პეტროვა. მარიამ იმარჯვა 7:5, 6:2.**

**ტურნირის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარი იყო.**



# თარიღები

**31 ოქტომბერი**

**1920 წ.** დაიბადა ფრიც ვალტერი (ფეხბურთი — „კაიზერსლაუტერნი", გერმანია). 1954 წ. მსოფლიო ჩემპიონი. 1940-1958 წ.წ. გამოდიოდა ქვეყნის ნაკრებში (ითამაშა 61 მატჩი და გაიტანა 33 გოლი). 1958 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

**1964 წ.** დაიბადა მარკო ვან ბასტენი (ფეხბურთი — „აიაქსი", ჰოლანდია, „მილანი", იტალია). 1988 წ. ევროპის ჩემპიონი. 1988, 1989 წ.წ. „ოქროს ბურთის" მფლობელი. 1986 წ. „ოქროს ბუცის" მფლობელი. 1989, 1990 წ.წ. ჩემპიონთა თასის, სუპერთასის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. 1987 წ. თასების მფლობელთა თასის მფლობელი, 1990 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

**1 ნოემბერი**

**1894 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „კარლსრუე" — გერმანიის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი.

**1950 წ.** დაიბადა დუდუ ჯორჯესკუ (ფეხბურთი — „სტიაუა", ბუქარესტი, რუმინეთი). 1975, 1977 წ.წ. „ოქროს ბუცის" მფლობელი. 1970 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 45 მატჩი.

**2 ნოემბერი**

**1944 წ.** დაიბადა ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი), ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში, უიმბლდონის ტურნირის სამგზის ფინალისტი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**1928 წ.** დაიბადა ვლადიმერ ბეარა (ფეხბურთი, — „ჰაიდუკი", სპლიტი, „ცრვენა ზვეზდა" ბელგრადი, იუგოსლავია). 1952 წ. ოლიმპიური თამაშების II პრიზიორი, 1954, 1958 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 60 მატჩი. იცავდა უეფა-ს ნაკრების კარს.

**1939 წ.** დაიბადა ენრიკო ალბერტოზი (ფეხბურთი — „ფიორენტინას", „კალიარის" და იტალიის ნაკრების მეკარე). 1970 წ. მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი. 1966 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 1961 წ. თასების მფლობელთა თასის მფლობელი. ნაკრებში ითამაშა 34 მატჩი.

**1991 წ.** დამთავრდა საბჭოთა კავშირის უკანასკნელი, 54-ე საფეხბურთო ჩემპიონატი.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**31 ოქტომბერი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია „რუსთავი2".** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „ჩელსი" (22.45), მიმოხილვა (1.00), „რომა" — „ოლიმპიაკოსი" (2.00), EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (12.30), საერთაშორისო ტურნირი კორეაში (13.15), უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (16.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში (21.00), სუმო (22.00), კრივი. მილანი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.00), რბოლა სატვირთო ავტომანქანებით (2.00), EUROSPORT-2. ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი კორეაში (11.00), კალათბურთი. ულების თასის გათამაშება „სიენა" — „ალბა" (13.00), სნუკერი შოტლანდიის გრან პრი (14.00), ფეხბურთი (18.00), მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი (20.00), ექსტრემალური სპორტი (21.00), კალათბურთი. ულების თასი (21.30), **„სპორტი-1"**. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (08.05), გერმანიის ჩემპიონატი (12.00), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი (12.55), ბეისბოლი. მსოფლიო სერია (18.00), ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი (20.15), ჰოკეი. ნჰლ (20.40), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. „სპარტაკი" — „ინტერი" (21.15), „ბარსელონა" — „ჩელსი" (23.30), „ბაიერნი" — „სპორტინგი" (1.45), ჰოკეი. ნჰლ-ის მატჩი (04.30).

**1 ნოემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია, „რუსთავი 2".** ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. „არსენალი" — ცსკა (22.45), ლიგის მიმოხილვა (01.00), „მილანი" — „ანდერლეხტი" (02.00), EUROSPORT. რბოლა სატვირთო ავტომანქანებით. ევროპის თასი. (11.30), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი კორეაში (14.00), სნუკერი. შოტლანდიის გრან პრი (15.00), ფეხბურთი. უეფას თასის გათამაშების მატჩების მიმოხილვა (20.30), სუმო (20.00), „აფროსნობა" (23.00), ცხენოსნობა (23.15), გოლფი. ევროპული ტური (00.15), წყალბურთი (02.15). **EUROSPORT-2.** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი კორეაში (09.30), კალათბურთი. ულების თასი (13.00), ექსტრემალური სპორტი (21.00), რალი. ევროპის თასი (21.30), კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში (1.30). **„სპორტი-1".** ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „ჩელსი" (08.00), მიმოხილვა (09.50), „შახტარი" — „ვალენსია" (10.35), „რომა" — „ოლიმპიაკოსი" (12.35), სუდამერიკანას თასი (16.15), ჰოკეი. ნჰლ (16.45), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.30), უეფას ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა (19.50), „არსენალი" — ცსკა (23.30), „რეალი" — „სტიაუა" (01.45), ჰოკეი. ნჰლ-ის მატჩები (04.00).

**2 ნოემბერი, ხუთშაბათი**

EUROSPORT. სროლა. მსოფლიო თასი (11.30), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (12.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ფეხბურთი. უეფას თასის მიმოხილვა (16.00), სუმო (21.00), კრივი (23.00), ფეხბურთი. უეფას თასის მატჩები (23.45), **EUROSPORT-2.** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი კორეაში (9.30), ფეხბურთი. უეფას თასის მატჩების მიმოხილვა (19.00), ექსტრემალური სპორტი (21.00), ხელბურთი (23.30). **„სპორტი-1".** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ჰამბურგი" — „პორტუ" 08.00, „ლიონი" — „დინამო" (10.35), „ბენფიკა" — „სელტიკი" (12.40), სპორტული ტანვარჯიში (14.55), საჩოგბურთო მიმოხილვა (20.00), ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი (21.10), ჰოკეი ნჰლ (23.15), ფეხბურთი (02.10), გზა პეკინისაკენ (04.00).

# კროსვორდი

**თარაზულად:** 2. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, ნუკრი..., 7. „ლემანის" ფეხბურთელი, ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი, 8. საბჭოთა კოსმონავტი, 10. ცნობილი ქართველი ვეტერანი წყალბურთელი, 11. საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, 12. „მილანის" ფეხბურთელის ინძაგის სახელი, 15. ავიაკატასტროფაში დაღუპული ტაშკენტის „ფახთაქორის" ფეხბურთელი, 16. სპორტის აკადემიის ყოფილი რექტორი, 20. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი, 21. ზამთრის ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქი (1952), 22. საბჭოთა მოფარიკავე რაპირაში (გუნდური) ორგზის ( 1960, 1964) ოლიმპიური ჩემპიონი.




**შვეულად:** 1. საქართველოში ზამთრის სპორტის სახეობების ტრადიციული ცენტრი, 2. წარსულში ცნობილი ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი, 3. ფანდი, ანუ... 4. შეძახილი ფარიკაობაში, 5. ცნობილი ლიბერიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 6. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 9. წარსულში ცნობილი ქართველი მსახიობი, ვასო... 11. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 13. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 14. მოტოციკლებით რბოლა ყინულზე, 17. ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა როგორც ზაფხულის (კრივში), ისე ზამთრის (ბობსლეიში) თამაშებში, 18. გადამდნარი კარაქი, 19. პსჟ-ს ფეხბურთელი.

მოამზადა
ნოდარ ჯაჯვაძემ.

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 3. კატა, 8. „აიაჩო", 9. ლონდონი, 10. რალი, 12. რაპირა, 13. დევენპორტი, 14. გია, 16. ცელი, 21. ზენაიშვილი, 22. აისი, 25. სტაიერი, 26. ბერლინი.

**შვეულად:** 1. ფაე, 2. ბა, 3. კორჩნოი, 4. ტოლდო. 5. როდრიგესი, 6. ადაპტაცია, 7. ქნარი, 11. ევრა, 13. დეუ, 15. კიზირია, 17. ბენტი, 18. სანია, 19. ეშერა. 20. ტიე, 23. იაია, 24. ურე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე